akhalitaoba.ge

ცეკე**Რ**გეᲠგᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐ ᲘᲜᲒᲠᲔᲕᲐ ᲗᲣ ᲫᲐᲚᲔᲑᲡ ᲘᲙᲠᲔᲑᲡ?



სოციალურ ქსელში ხელოვნური ტვინი გაგაკონტროლებთ

23 116341916

იორამ ჩადუნელი

በሕሮሪଅዌርህ

ქართული დეტექტივი ტომი 3

പാല **გ**აზეთთან ാഹനായ 4 ᲚᲐᲠበ



№18 (7563) სამშაბათი, 23 იანვარი, 2018 ფასი: 50 თეთრი

๛มะคล หวลพวบ๘ภ วว๘บ๛พวบ วลบกวพบ and file of the state of the st



"ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲘ

გროზნოს მერმა ბათუმსა და თბილისში გასაიდუმლოებული შეხვედრები გამართა ᲡᲣᲡᲛᲐ ᲩᲐᲒᲐᲔᲕᲘᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲘᲗ ᲐᲜᲐᲒᲝᲚᲘ ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲐ



"ሁዊበᲚᲝᲑᲔᲜ, ᲦᲔᲙᲐᲜᲝᲖᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ 3)3)5)3 C)004336M6, AM3 3NL3)6 ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ"

მიხეილ რამიშვილი: "პროკურატურა ცდილობს, სასამართლო შეცდომაში შეიყვანოს" **ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐ**&ᲣᲠᲐ: "ᲓᲔᲙᲐᲜᲝᲖᲛᲐ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲚᲐᲨᲐ ᲓᲕᲐᲚᲘ**Შ**ᲕᲘᲚᲡ 2.500 **ᲓᲝᲚᲐᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ ᲠᲐᲦᲐᲪᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲔᲜᲐᲓ"**





მამუკა ንሣጋቧሀዓጋ፡ "ንሣ **3**39M3MNBF73 **ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** 2020 წᲚՈᲡ **ᲡᲐ**ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜ&Ო **ᲐᲠᲩᲔ**36ᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ **ጋ**მዔንፎጋኦን,





3749769 97UP7U7: "ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲒᲘ MUMUI-DCCFACD ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ 33337N79U 976U7 **ᲒᲐᲚᲐᲜᲡᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲡ**"



ԵՇԱՐԵՐ ՈՐԻՍՉԱՅԵՐ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲘ 33383 **ᲞᲐ**ᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ **M**%ንԲՍ ՁՐՐ–Ր ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ **Ս**ԵՐՅՉՅԱՈՆԵ อบอวพดววก



გყვიაზე **Რ**ᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ **ഗാദി**ഷ്ടാദ **ᲛᲐ**ᲩᲐᲚᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ 2629 **ᲒᲐ**ᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲘᲧᲝ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ"



78001377 ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ **LYMJUEU98M 33047930** — **ᲓᲐᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ** 3 9397

OJM6ManJJ 83.6 "ᲘᲠᲐᲜᲘᲦᲐᲜ **ᲒᲐ**ᲖᲠᲓᲘᲚᲘ **amorm3eur 97am**' ՊՖԽՊՆՍԵСՆՍ **BP3WUP &2P97**

amnaა&ა[,]



ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜ&ᲝᲛ L7739W9W9VJ ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲐᲮᲐᲚᲘ **am**332233 യാവലാന



2017 წელს በመርቲሕሮመ L)JJAMOJOEML უმსხვილესი **Մ** Խ ԵՆԸՆՍ **3**ህሐ&6በጠሐበ በሃጠ



"ᲡᲒᲐᲛᲑᲝᲚᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ" ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲘ ᲛᲔᲬᲘᲚᲔ በ**ፓ**ቄበጋሮ 6ᲝᲜᲘ — "Აሐ **3**39M34NBP33, 4M9 ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ อว รกษฅ"



ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ: "ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ **9**369399UP **3**3**3**37739UP 3**ᲠᲝ**ᲪᲔᲡᲨᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ՈճԵՖԻԵՆՍԵՇ ჩაერთვეგია6"



ታንሣሀቦ ሬን ዓቆሀቦ **363**680380, ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ, ᲕᲔᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ **Მ**ᲐᲮᲓᲔᲑᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲦᲘ **363**48NNL 647WW



JAYUE79U กอกชกหวงฃฅก ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ **Ღ**ᲕᲘᲜᲝ **ᲒᲐᲧᲘ**ᲓᲕᲔᲑᲘᲓᲐᲜ ამოიღას

6363 43343060: "L333403324ML L334330 L3333330433 67345363

3

_ნონა ცაბაძე

ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ პროცესებს "ახალ თაობასთან" ინტერვიუში გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი **ნანა დევდარიანი** აფასებს.

— ქალბატონო ნანა, გვესმის შეფასებები, რომ "ოცნება" ძალიან რთულ სიტუაციაშია ქვეყ-ნის მართვის თვალსაზრისით, თავს ვერ ართმევენ პრობლემებსო. საუბარია, რომ უკიდურესად მძიმდება სოციალურ-ეკონომიკური ფონი. რა პრობლემების წინაშე დგას ქვეყანა და ამ ქვეყნის ხელისუფლება?

— ეს კრიზისული ვითარება მარტო საქართველოში არ არის და ეს საერთო ფონია. 2008 წლის შემდეგ დაიწყო და ძალიან ბევრ ქვეყანაში საკმაოდ რთული ვითარებაა. ამას ამწვავებს კიდევ ის, რომ საერთაშორისო ვითარებაა ძალიან დამძიმებული.

– რა თვალსაზრისით?

— შეერთებული შტატები აშკარად კარ-გავს ჰეგემონის როლს, რასთან შეგუებაც ძალიან რთულია ასეთი ძლიერი ზესახელმწიფოსთვის. ამას ემატება ისლამური ტერორიზმის მობილიზება, ემატება ცხელი კონფლიქტები ახლო აღმოსავლეთში და სინამდვილეში, ჩვენგან ეს ძალიან ახლოს არის. ვინმეს თუ გონია, რომ სადღაც შორს არის, ასე არაა. ამ კონტექსტში უნდა შევხედოთ ყველაფერს. რაც შეეხება ოცნებას, ოცნება თავიდანვე იმდენად ეკლექტური იყო და ამაზე არაერთხელ გვილაპარაკია, რომ იქ გარდაუვალად, მმართველი ძალის შიგნით მუდმივად იქმნებოდა შიდა კონკურენცია და დაპირისპირება. ესეც თავიდანვე ცხადი იყო და არაფერი ახალი ამაში არ არის.

– და წლის მიწურულს დაიშალა თუ გაიშალა კიდეც საპარლამენტო უმრავლესობა რამდენიმე ფრაქციად.

– ეს ცოტა პოპულისტური განცხადებების საგანი გახდა. პარლამენტში ახალი ფრაქციების წარმოქმნა უმრავლესობის შიგნით, ეს არის ჩვეულებრივი ამბავი და ეს ხდებოდა ყველა ჩვეულებრივი მმართველი ძალის პერიოდში. ეს არ ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთს გამოეყვნენ და დაუპირისპირდნენ. ეს პოპულიზმის საგნად არ უნდა იქცეს. ჯერ ერთი, არსებობს შიგნით სხვადასხვა მიმართულებების ძალები, რომლებსაც ურჩევნიათ, მაგალითად, ერთ ფრაქციაში ყოფნა. ამას ემატება კიდევ ერთი მერკანტილური მიზე-



ზი, რომელზეც არავის არ უნდა ხმამაღლა ლაპარაკი.

– რა მიზეზს გულისხმობთ?

— სინამდვილეში, მაგალითად, 100-კაციან უმრავლესობაში ერთი ფრაქცია თუ არის, ეს არის ერთი ფრაქციის თავმჯდომარე, ერთი მანქანა, ერთი კაბინეტი, ალბათ მიხვდით, რასაც ვგულისხმობ.

– ანუ მატერიალური თვალსაზრისით გამართლებულია მათი გაშლა?

— დიახ, ამასაც აქვს თავისი დატვირთვა. დღეს მმართველ ძალას არ აწყობს ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება და ამიტომ არგუმენტად არ მოჰყავთ ეს. თორემ ეს არ ნიშნავს იდეოლოგიურ დაპირისპირებას. აი დაპირისპირება შიგნით, მმართველ ძალაში რაც არის, ის არასოდეს თვალხილულად არ ჩანს და გამოდის ჭორების სახით. შიგნით არის რამდენიმე ფლანგი, რომელიც ცდილობს, რომ საკუთარი მოსაზ-რებები გაიტანოს და გააძლიეროს. პოლიტიკურ ცხოვრებაში არც ამაში არ არის რაიმე უცნაუ-რი.

 ქალბატონო ნანა, თქვენ ტერორიზმის საფრთხე ახსენეთ და აღნიშნეთ, რომ ის ძალიან ახლოა ჩვენთანო. ვნახეთ თუ რა მოვლენების წინაშე აღმოჩნდა ჩვენი ქვეყანა. დღემდე აქტიურად განიხილება მომხდარი და პანკისის ხეობა დღესაც ითვლება ცხელ წერტილად. რამდენად სახიფათოა ამ კუთხით ვითარება?

— პანკისი ყოველთვის იყო და ახლაც რჩება რაღაც აკვიატებულ თემად, თორემ ისლამური ტერორიზმის მომხრეები შეიძლება დაძებნო აჭარაშიც, გურია შიც და იმერეთშიც, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს. ეს გლობალური მოვლენაა. ამას ვერც ერთი სახელმწიფო მხოლოდ თავისი რესურსით ვერ დაუპირისპირდება თუ არ ითანამ-შრომლებს სხვა სახელმწიფოებთან და არ მიიღებს დამატებით ინფორმაციებს და თვითონაც არ მიაწვდის. პანკისი, თავის დროზე, ეს იყო რუსეთის მიერ აქტივიზირებული თემა, იმიტომ, რომ გადადი— გადმოდი იყო საზღვარზე პანკისიდან.

ბერე ჩვენ მივიღეთ ძალიან დიდი ნაკადი ლტოლვილების, ჩეჩნეთის მოვლენების გამო. ახლა ამას დაემატა უკვე ეს საერთაშორისო ისლამური ტერორიზმი, რომელიც უკვე სოციალური ქსელებით ისე აღწევს რეკრუტირებას ადამიანებისა, რომ ამისთვის თვალის მიდევნება ძალიან რთულია ისეთი დიდი სახელმწიფოებისთვის, როგორიც არის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, გერმანია და სხვა.

– და ამ პროცესის შეჩერება რთულია?

— ძალიან ძნელია, იმიტომ, რომ როცა ეს ხდება კარგად დამუშავებული მეთოდოლოგიით, არავინ იფიქროს, რომ რამე სტიქიურად ხდება. ამ ხალხმა იცის, რას აკეთებს და როგორ მიიზიდოს ადამიანები. რა ღილაკზე დააჭიროს, რომ ადამიანის ფსიქიკაზე იმოქმედოს.

– ჩვენს ქვეყანაში აღმოჩნდა ისლამური სახელმწიფოს მებრძოლი, ცნობილი ჩეჩენი ტერორისტი, რომლის ლიკვიდაციაც მოხდა. ამის შემდეგ რა მოცემულობის წინაშე აღმოვჩნდით?

– არაერთხელ მითქვამს, როდესაც სააკაშვილმა მოაღიავა ეს ჩვენი საზღვრები და უკიდურესად გაამარტივა უცხო ქვეყნებიდან ადამიანების შემოსვლა, ასეთი ნაკადის კონტროლირება
უჭირს ძალიან ბევრ განვითარებულ და ძლიერ
სახელმწიფოსაც კი. ახლაც ძალიან ვრცელია იმ
სახელმწიფოების ნუსხა, რომლიდანაც უვიზოდ
შემოდიან ადამიანები. როცა ასეთი ვითარებაა,
სახელმწიფომ უნდა იზრუნოს თავის უსაფრთხოებაზე, მოქალაქეების უსაფრთხოებაზე და ასე
უვიზოდ გამოცხადებული შემოსვლა, ასე უკონტროლოდ, არ შეიძლება!

_ - ანუ ამ კუთხით კანონის გამკაცრებაა ააძირო?

– იცით, არ არსებობს კანონი, წესი და

რეგულაცია, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ უნდა იყოს მიღებული. ვითარების მიხედვით უნდა იმოქმედოს სახელმწიფომ. შეიცვალა ვითარება? ადეკვატური პასუხი სჭირდება. რაღაც ახალი გამოწვევა გამოჩნდა? იმასაც პასუხი სჭირდება.

— თქვენ მიხეილ სააკაშვილი ახსენეთ და დღეს ეს საკითხიც საკმაოდ აქტუალურია, საუბარია, რომ მისი ექსტრადირება მოხდება საქართველოში და "ოცნებას" წინასაპრეზიდენტო არჩევნებისთვის აწყობს ამ თემის აქტუალიზაციაო.
რას იტყვით თქვენ, არის ამის შანსი, რომ მოხდეს
სააკაშვილის ექსტრადირება უკრაინიდან საქართველოში?

— ვერ ვატყობ მე "ოცნებას", რომ ძალიან უნდოდეს მისი აქ ჩამოყვანა. იმიტომ, რომ სააკაშვილი, სადაც არ უნდა იყოს, საქართველო იქნება ეს, უკრაინა თუ შეერთებული შტატები, ყველგან თავის ტკივილია.



– თუნდაც იჯდეს ციხეში?

— ციხეში იჯდება თუ გარეთ იქნება, ყველ-გან თავის ტკივილია. იმიტომ, რომ ეს არის არაპროგნოზირებადი პიროვნება. თვითონაც არ შეუძლია იმის პროგნოზირება, მომდევნო მომენტში რას გააფუჭებს. ძალაუფლების სიყვარულსაც უნდა ჰქონდეს ზღვარი და ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, არ არის. ოღონდ ძალაუფლება მოიპოვოს და ეს ადამიანი არის ყველაფერზე წამსვლელი. მე ვერ ვატყობ, რომ მისი ექსტრადირება შედიოდეს "ოცნების" ინტერესში. ასევე, გააჩნია იმასაც, რომელი დაჯგუფების ინტერესები და მოსაზრება გაიმარჯვებს.

"ᲡᲒᲐᲛᲑᲝᲚᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ" ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲘ ᲛᲔᲬᲘᲚᲔ ᲘᲣᲖᲘᲔᲚ ᲜᲝᲜᲘ — "ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲠᲘᲪᲮᲐᲕ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ ᲛᲔ ᲕᲘᲧᲝ"



რუსთავის ე.წ. სტამბოლის ბაზრის ებრაელი მეწილე ერთკვირიან დუმილს არღვევს. იუზიელ ნონი, რომელიც რუსთავის ბაზრის 28%-იანი წილის მფლობელია, სამსონ ქუთათელაძის მკვლელობის საქმეზე ქრონიკასთან პირველ კომენტარს აკეთებს.

— ძალიან აღვშფოთდი, რაც ვნახე. სიცრუეა და დეზინფორმაცია, რაც
მედიაში მოვისმინე. მე დაკითხვაზე არაფერი მითქვამს ქუთათელაძის დაპირისპირებაზე. მე პოლიციისთვის არაფერი მითქვამს. საინტერესოა, ვის ინტერესებში იყო ამ ინფორმაციის გასაჯაროება, ალბათ ამ ვითომ ჩვენების
გამოქვეყნება ვის აწყობდა. სოსო
ჯერა, რომ მას კინმესთან იმ დონის

ბრწყინვალე პიროვნება იყო, არ მჯერა, რომ მას ვინმესთან იმ დონის დაპირისპირება ჰქონდა, რომ მოეკლათ, ამას ვერ ვიჯერებ. რაც შეეხება გიორგი ჭანტურიას, ვიცი, რომ ის ფლობდა გარკვეულ მიწის ნაკვეთს. მას გარკვეული რაოდენობის დახლები ჰქონდა ჩვენს ბაზარში, რამდენი, არც ვიცი. მომიჯნავე ფართზეა საუბარი, მხოლოდ ეს ვიცი. ცოტა დროს ვატარებ მე ბაზარში, არ ვიცი, იყო თუ არა დაპირისპირება. არ ვიცი, ვის უნდოდა მისი მოშორება, არ გამოვრიცხავ, რომ შემდეგი მსხვერპლი მე ვიყო, — განაცხადა ებრაელმა ბიზნესმენმა.

რუსთავში, ე.წ. სტამბოლის ბაზრობის ტერიტორიაზე ყოფილი დეპუტა-ტი, გენერალი სოსო ქუთათელაძე რუსთავში მოკლული 15 იანვარს იპოვეს.

გენერალი ქუთათელაძე იყო მე-7 მოწვევის პარლამენტის წევრი, ეროვნული გვარდიის სარდალი და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის განათლების დეპარტამენტის უფროსი. იმედინიუსი

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐᲨᲘ ᲘᲛᲘ**ᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ** ᲚᲕᲘᲜᲝ ᲒᲐᲧᲘᲓᲕᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲐᲛᲝᲘᲚᲔᲡ

უკრაინაში იმიტირებული ქართული ღვინის პარტია გაყიდვებიდან ამოიღეს, ხოლო კანონდამრღვევი კომპანია უკრაინის ანტიმონოპოლიური სამსახურის მიერ დაჯარიმდა.

ამის შესახებ ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს. უწყების ცნობით, 2016 წელს ღვინის ეროვნულ სააგენტოში შევიდა ინფორმაცია, რომ უკრაინული კომპანიები ახდენენ ქართული ღვინის უკანონო იმიტაციას და ქართული დაცული ადგილწარმოშობის დასახელებებს უკანონოდ იყენებდნენ.

— კერძოდ, უკრაინის ბაზარზე რეალიზაციაში იყო არაქართული წარმოშობის ღვინოები, რომელთა ეტიკეტებზე დატანილი, საქართველოსთან და ქართულ ღვინოსთან დაკავშირებული სიმბოლოები და აღნიშვნები განაპირობებდა მომხმარებელთა შეცდომაში შეყვანას ღვინის წარმოშობის ქვეყანასთან მიმართებით. ამით, უკრაინაში ოპერირებადი კომპანიების მხრიდან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის პირობები ექმნებოდა ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს, რაც პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალზე.



ამ ფაქტთან დაკავშირებით, ღვინის ეროვნულმა სააგენტომ, საქართველოს მთავრობის მიერ მინიჭებული მანდატის ფარგლებში, მიმართა უკრაინის ანტიმონოპოლურ კომიტეტს, რომელმაც გამოძიება დაიწყო უკრაინული კომპანია "კამიანკა გლობალ ვაინსის" წინააღმდეგ.

კომიტეტის მიერ, 2017 წლის ოქტომბერში მომზადდა წინასწარი დასკვნა, სადაც აღნიშნული იყო, რომ "კამიანკა გლობალ ვაინსს", ქართული ღვინის ეტიკეტების იმიტირებით და არასწორი ცნობების გავრცელებით, შეცდომაში შეჰყავდა მომხმარებლები და ქმნიდა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გარემოს. შეღგად, უკრაინის ანტიმონოპოლი-

ურმა კომიტეტმა უკრაინული კომპანიის ქმედებები ცნო "არაკეთილსინდისიერი კონკურენციისგან დაცვის შესახებ" უკრაინის კანონის დარღვევად და კომპანიას დააკისრა ჯარიმა 7.010.000 უკრაინული გრივნის ოდენობით. ამასთან ერთად, "კამიანკა გლობალ ვაინსს" სამომავლოდაც აეკრძალა ქართულ ღვინის იმიტაციებთან დაკავშირებით მსგავსი ქმედებების განხორციელება, — ნათქვამია უწყების განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ ამ გადაწყვეტილებით უკრაინაში ანტიმონოპო-ლიური კომიტეტის მიერ საქართველოს საჯარო დაწესებულების სასარ-გებლოდ გადაწყვეტილების გამოტანასთან დაკავშირებით პირველი პრეცედენტი შეიქმნა. როგორც სამინისტროს განცხადებაშია აღნიშნული, ეს ფაქტორი განსაკუთრებით ყურადსაღებია იმ ბაზარზე, სადაც ქართული ღვინო მაღალი რეპუტაციით სარგებ-ლებს.

ამასთან, უწყების ინფორმაციით, ღვინის ეროვნული სააგენტო შემდგომშიც გააგრძელებს ქართული ღვინისა და მისი დასახელებების დაცვის მიზნით ეფექტური ღონისძიებების გატარებას საერთაშორისო ბაზარზე.

abaen mamba

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან დამფუძნებლები: ნინო ბაკურამე, ზურაბ ბერიმე, სოსო გოგინაშვილი მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები ფთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი **ზაფინანსო ზამსახური** – კლარა ბალავაძე სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55 გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თპილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული. ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91

ვებ-გვერდი www. akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და
ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე
გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო
განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება
აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე
პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



ᲠᲐᲒᲝᲛ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲙᲐᲓᲘᲠᲝᲕᲘᲡ ᲔᲛᲘᲡᲐᲠᲘ ᲛᲣᲡᲚᲘᲛ ᲮᲣᲩᲘᲔᲕᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

გროზნოს მერმა ბათუმსა და თბილისში გასაიდუმლოებული შეხვედრები გამართა

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტულმა დეპარტამენტმა ახმედ ჩატაევთან დაკავშირებული კიდევ ერთი

სუსის განმარტებით, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, 22 იანვარს, თბილისში დაკავებულ იქნა საქართველოს მოქალაქე ანატოლი ბერძენიშვილი.

ამ დაკავებასთან დაკავშირებით სუსმა საგანგებო განცხადება გაავრცელა. განცხადებაში

– გამოძიების ამ ეტაპზე დადგენილია, რომ დაკავებული ანატოლი ბერძენიშვილი ჩავიდა თურქეთში ახმედ ჩატაევის და მისი დაჯგუფების წევრების დასახმარებლად. დაკავებულმა, ზურაბ



გორნაკაშვილთან და ზურაბ იდოიძესთან

ერთად, ახმედ ჩატაევს და მისი დაჯგუფების წევრებს დახმარება გაუწია თურქეთ-საქართველოს საზღვართან, კირნათი-მარადიდის მწვანე ზოლის მონაკვეთამდე გადაადგილებაში.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 331-ე პრიმა მუხლის მესამე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტერორიზმის დაფინანსებას, ტერორისტული საქმიანობის სხვაგვარ მატერიალურ მხარდაჭერას ან რესურსებით უზრუნველყოფას გულისხმობს, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია. სასჯელის ზომად 17-დან 20 წლამდე ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ჩატაევისთვის ხელშეწყობის ბრალდებით სუსმა პირველი ოპერაცია გასული წლის 26 დეკემბერს ჩაატარა, რომლის დროსაც პანკისსა და თბილისში 5 პირი დააკავეს.

სწორედ ამ სპეცოპერაციისას დაიჭრა მძი-

მედ 19 წლის თემირლან მაჩალიკაშვილი, რომლის გადარჩენაც ვერ მოხერხდა. გარდაცვლილის ოჯახი სიმართლის დასადგენად სტრას-

ბურში აპირებს წასვლას. ჩატაევის მხარდამჭერების დასაკავებლად მორიგი სპეცოპერაცია უკვე მიმდინარე წლის იანვარში ჩატარდა, რომლის დროსაც სუსმა ახმეტაში დააკავა ზურაბ იდო-

სუსის ინფორმაციით, ახმედ ჩატაევი და მისი თანამზრახველები საქართველოსა და თურქეთში დიპლომატიურ მისიებზე თავდასხმას გეგმავდნენ. როგორც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის

სამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა განაცხადა, ამის შესახებ ჩატაევის კომპიუტერიდან და სხვა ტექნიკური მოწყობილობებიდან ამოღებული ჩანაწერებიდან გახდა ცნობილი.

– საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე მდებარე ბინიდან ამოღებული ახმედ ჩატაევის კუთვნილი კომპიუტერიდან და სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობებიდან მოპოვებულია აუდიოჩანაწერები. ჩანაწერების მიხედვით, ახმედ ჩატაევი და მისი თანაშზრახველები ტერორისტული აქტების განხორციელებას გეგმავდნენ საქარ-თველოსა და თურქეთში. მათ მიზანს დიპ-ლომატიურ მისიებზე თავდასხმები წარმოადგენდა, – განაცხადა გიორგობიანმა პან-

კისის პირველი სპეცოპერაციის შემდეგ. მისივე თქმით, აღნიშნული ტერორისტული აქტები დაგეგმარების პროცესში იქნა აღკვეთილი.

ამასთან დაკავშირებით რუსთავი 2-მა სკანდალური ინფორმაცია გამოაქვეყნა. კურიერს ხელში ჩაუვარდა საქმის მასალები, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ყველაზე დაცულ სეიფში უნდა ინახებოდეს. ფოტოებზე ახმედ ჩატაევი ჩანს და ის თბილისში, კონსპირაციულ ბინაში სარკის წინ პოზირებს.

ერთ-ერთი ვერსიით, სელფი თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქუჩაზე, კონსპირაციულ ბინაშია გადაღებული.

კურიერს სანდო წყარო უყვება, რომ ამ ფოტომასალის ორიგინალი სუსის ტერორიზმის საქმის ერთ-ერთ ტომში ინახება და ის სპეცსამსახურის თანამშრომლებმა ჩატაევის პერსონა-



ლური კომპიუტერიდან ამოიღეს. სხვა ფოტოებზე ჩატაევის რაზმის წევრები

ფოტოები თბილისსა და პანკისის ხეობაშია გადაღებული. ფოტომასალაში არსად ფიგუ-ศกศาชน์ ผู้กูศิกศ์การปีกน ปีชาศตรสุกศาชิก อัศราตุกา ბული და ლიკვიდირებული თემირლან მაჩალიკაშვილი.

პანკისის ხეობაში პირველ სპეცოპერაციამდე რამდენიმე დღით ადრე, ჩეჩნეთის მეთაურმა

სუსმა ჩატაევის დახმარების ბრალდებით ანატოლი ბერძენიშვილი დააკავა

სკანდალური განცხადება გააკეთა. მან რუსულ მედიასთან საუბარში თქვა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფებიან ტერორისტები, რომლებიც რუსეთის და ჩეჩნეთის წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მოწყობას აპირებენ.

რამზან კადიროვმა განაცხადა, რომ ისინი საქართველოში მყოფ ტერორისტებთან საბრძოლველად მზად არიან.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლებას არანაირი განცხადება არ გაუკეთებია. შეიძლება არ ისურვეს, შესაძლოა, მაჩალიკაშვილის ამბის შემდეგ ამისთვის აღარ ეცა-

ამასობაში ახმეტაში ვრცელდებოდა ინ-ფორმაციები, რომ ხეობაში ჩეჩნეთიდან კადირო-

საქართველოს ხელისუფლებამ ამ ინფორმაციას სისულელე უნოდა. იყო თუ არა კადიროვის ხალხი პანკისში, ვერ გეტყვით, მაგრამ მისი ნდობით აღჭურვილი პირი თბილის-სა და ბათუმში ვიხილეთ.

საქართველოში გასაიდუმლოებული ვიზიტით გროზნოს მერი მუსლიმ ხუჩიევი ჩამოვიდა. ის რამზან კადიროვის უახლოეს გარემოცვაში

რუსთავი 2-ის კამერამ მუსლიმ ხუჩიევი ბათუმში დააფიქსირა, ປადაც ის თბილისიდან ჩავიდა. რა მიზნით ჩამოვიდა ქვეყანაში რამზან კადიროვის უახლოესი გარემოცვის წევრი და გავლენიანი მაღალჩინო-

სანი, უცნობია.

ასევე უცნობია, უკავშირდება თუ არა კადიროვის უახლოესი მეგობრის ვიზიტი საქართველოში, თბილისში ჩატარებულ ანტიტერორისტულ ოპერაციას და პანკისში არსებულ ვი-

კადიროვის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ საყოველთაოდ არის ცნობილი. ის ღიად აცხადებდა, საქართველო და უკრაინა უნდა განადგურდესო. 2008 წლის აგვისტოს ომში საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლი ჩეჩნები კადიროვმა პირადად დააჯილდოვა.

ცხინვალის მიმართ ნაზი გრძნობები აქვს გროზნოს მერსაც. ახლო ნარსულში მან ცხინვალის მერს, ალან კოჩიევს უმასპინძლა და ქალაქი პირადად მოატარა. ნანახით კოჩიევი აღფრთოვანებული დარჩა, განაცხადა, გროზნოსგან უნდა ავიღო მაგალი-

გროზნოში არსებული ვითარებით თავად ხუჩიევიც ხშირად იწონებს თავს. ამბობს, რომ მისი ქალაქი ყველაზე უსაფრთხოა მსოფლიოში.

– ჩვენთან მანქანებსაც კი არავინ კეტავს. ღია მანქანებს ვტოვებთ და მათ არავინ იპარავს, – ამბობს გროზნოს მერი.

მართალია, საქართველოში კრიმინოგენური ვითარება ძალიან მძიმეა, მაგრამ საეჭვოა, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილების გასაზიარებლად მოეწვიათ გროზნოს მერი. აქ ბევრად სერიოზულად არის საქმე, რამ-

ზან კადიროვის ემისარი საქართველოში შემთხვევით არ ჩამოვიდოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა პანკისში ვითარება ასეთი დაძაბულია.

ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲐᲠᲔᲨᲘᲫᲔ: "ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲠᲘᲪᲮᲐᲕ, ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ 2020 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲒᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ"



ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი**მამუკა არეშიძე** "ახალ თაობასთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ მმართველ პარტიას საპრეზიდენტო პოსტზე სოლიდური კანდიდატურის შერჩევა მოუწევს.

– ბატონო მამუკა, მმართველი პარტიის კულუარებში არაერთი საპრეზიდენტო კანდიდატურა დასახელდა, თუმცა ეს კანდიდატები უარყოფენ, რომ ისინი პრეზიდენტის პოსტზე განიხილებიან. როგორ ფიქრობთ, "ქართულ ოცნებას "გაუჭირდება საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევა თუ ვინც არ უნდა დასახელდეს, უკონკურენ-

– არა, ასე ვერ ვიტყოდი, რომ ვინც არ უნდა დასახელდეს, მაინც უკონკურენტოა. რასაკვირველია, "ქართულ ოცნებას" ბევრად მეტი რესურსი აქვს, ელექტორალური რესურსი მათ შორის, ვიდრე დანარჩენ პარტიებს, მაგრამ ცხადია, სოლიდური კანდიდატის შერჩევა მაინც მოუწევს მმართველ პარტიას. თუმცა, თუ გიორგი კვირიკაშვილი იქნება სახელისუფლო პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატი, მაშინ ის იქნება ამ არჩევნებში ფავორიტი.

– გიორგი კვირიკაშვილმა უარყო ეს ვერსია, როგორც დავით სერგეენკომ უარყო.

– ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე



"ქართული ოცნების" კულუარებში საუბარი არის გიორგი კვირიკაშვილის კანდიდატურაზე

– შეიძლება პოლიტიკისგან დისტანცირებული ფიგურა შეარჩიოს მმართველმა პარტიამ?

– რამდენიმე თვის შემდეგ რა მოხდება, რთული სათქმელია, მაგრამ ისეთი ფიგურა, რომელიც პოლიტიკისგან იქნება დისტანცირებული, მაგრამ შეიძლება იყოს საპრეზიდენტო კანდიდატი, მით უფრო სახელისუფ-

ლო პარტიის, სიმართლე გითხრათ, მე ფიზიკურად ასეთ კანდიდატს ვერ ვხედავ.

რაც შეეხება ირაკლი ღარიბაშვილის კანდიდატურას, მისი კანდიდატურა ერთი პერიოდი კი განიხილებოდა, მაგრამ ახლა ეს საკითხი აღარ არის აქტუალური.

– თითქოს ყველა თავის კანდიდატურას ლობირებს და ამიტომაც გაჭიანურდა ერთ კანდიდატზე შეთანხმება?

– არ მგონია ასე იყოს, მით უფრო, როდესაც საქმე საპრეზიდენტო კანდიდატს ეხება. პრეზიდენტის პოსტზე არ ვფიქრობ, რომ გადაწყვეტილებას ქვეგუნდები მიიღებენ. რამდენი კონკრეტული ადამიანი არის, რომელიც

ასეთ გადაწყვეტილებას იღებს, რასაკვირველია, წამყვანი, გადამწყვეტი ხმა, ბიძინა ივანიშვილს აქვს.

– რაც შეეხება ოპოზიციას, ერთი კანდიდატის ირგვლივ გაერთიანება რამდენად მოსალოდნელია?

– ეს გამორიცხულია. შეიძლება რაღაც თემატური გაერთიანება მოხდეს, მაგრამ ერთი კანდიდატის ირგვლივ ოპოზიციური პარტიების გაერთიანება, ეს, უბრალოდ, შეუძლებელი მგონია. საქართველოზეა ლა-

პარაკი, ეს ხომ არ არის რომელიღაც ევროპული ქვეყანა. როგორ შეიძლე-<u>-</u> გა სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსისა და იდეოლოგიის და, რაც მთავარია, სხვადასხვა პოლიტიკური ამბიციის ადამიანები გაერთიანდნენ, ცხადია, ამას ირონიით ვამბობ, მაგრამ ეს ასეა. ეს ძალიან დიდი ამოცანა იქნებოდა დღევანდელი ოპოზიციური სპექტრისთვის.

ამდენად, ცხადია, სახელისუფლო პარტიის კანდიდატის შანსი, მით უფრო ამ ფონზე, ძალიან მაღალია. თუმცა, როდესაც ვთქვი, რომ უპირობო ფავორიტი არ არის, ვიგულისხმე ის, რომ შეიძლება ისეთი პიროვნება გამოჩნდეს, ვისაც გარკვეული საზოგადოებრივი რესურსი და ნდობა აქვს.
— და ვინ შეიძლება ასეთი პი-

როვნება იყოს?

– გავიხსენოთ თუნდაც ელისაშვილის გამოჩენა თბილისის მერის არჩევნებზე. მართალია, თბილისის მერი ვერ გახდა ალეკო ელისაშვილი, მაგრამ საპატიო რეზულტატი აჩვენა. ამდენად, მე არ გამიკვირდება, რომ ასეთი ფიგურა გამოჩნდეს, რომელიც გარკვეულ კონკურენციას გაუწევს "ქართული ოცნების" კანდიდატს. თუმცა, ჯერჯერობით ვერაფერს ვერ გეტყვით იმაზე, რომ აუცილებლად ასეთი კანდიდატი გაიმარჯვებს, მაგრამ ბრძოლის ელფერს ნამდვილად შესძენს. თუმცა, ბევრი რამე, რასაკვირველია, თავად კანდიდატზეც იქნება დამოკიდებული

– ბატონო მამუკა, პრეზიდენტი მარგველა შვილი არ ადასტურებს, თუმცა, არც უარყოფს, რომ შეიძლება მან მეორე ვადით იყაროს კენჭი. შეიძლება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნეპისთვის მოემზადოს?

– მე არა მგონია, რომ გიორგი მარგველაშვილმა ისევ მოინდომოს პრეზიდენტობა. ძალიან რთული ხუთი წელინადი ჰქონდა, ყველა მხრიდან მასზე შეტევა ვითარდებოდა. ეს ყველაფერი, რასაკვირველია, ბევრ ნერვებად დაუჯდა. აქვე ისიც უნდა ვთქვა, რომ პრეზიდენტ მარგველაშვილს არაერთი შეცდომა ჰქონდა. ვერ გეტყვით, ეს იყო პოლიტიკური გამოუცდელობის შედეგად თუ პირადი ხასიათის თვისებებიდან გამომდინარე, მაგრამ ფაქტია, რომ მას ჰქონდა შეცდომები. ამდენად, არ მგონია, რომ ამ ყულფში თავიდან გაყოს თავი.

– პოლიტიკურ კარიერას დაასრულებს?

– არა, ასე არ ვფიქრობ. მე უფრო მგონია, რომ მარგველა შვილი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მოემზადება. ალბათ, ეს უფრო რაციონალური ნაბიჯი იქნებოდა მისი მხრიდან. არ არის გამორიცხული, რომ მარგველაშვილი საპარლამენტო არჩევნებზე ზოგიერთი ოპოზიციური ძალის, პარტიების გამაერთიანებელ ლიდერად მოგვევლინოს.



3749769 974770 1847468 3749769 3749769 3749769 ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ ᲫᲐᲚᲗᲐ ᲑᲐᲚᲐᲜᲡᲡ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲡ"

გულიკო ბალაძე

საქართველოს საზღვრებიდან 500 კილომეტრში ახალი კონფლიქტი ძალას იკრებს თურქეთსა და სირიელ ქურთებს შორის, რომელსაც อีชงศ์น ทู่สู่กูศ์น งอีกูคักงง. "งชงლ ดงคองบดงั้น กรีტერვიუში სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტი ვახტანგ მაისაია აფასებს შექმნილ ვითარებას და ამბობს, რომ ახალი კონფლიქტი საქართველოსა და, საერთოდ, კავკასიაში არსებულ ძალთა ბალანსს შეცვლის.

ვახტანგ მაისაია:

- ამერიკელებმა წამოაყენეს იდეა, შექმნილიყო გაერთიანებული ფრონტი ბაშარ ასადის წინააღმდეგ. ამერიკის სახელმწიფო მდივანმა პირდაპირ განაცხადა, რომ სირიის პრობლემის მშვიდობიანი მოგვარების საქმეში ის ვერ ხედავს ბაშარ ასადის ადგილს.

ამით ამერიკელები ცდილობენ რუსეთის გავლენები გაანეიტრალონ. ამერიკელებს არ ეგონათ, თუ 2015 წლიდან რეგიონში, მათ შორის, სირიაში, რუსეთის გავლენა ასე გაძლიერდებოდა. ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში და ამერიკის სამხედრო სტრატეგიის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ირანი, რუსეთი და ჩინეთი ამერიკის მტრებია. სამხედრო მტრებზეა საუბარი. საინტერესოა ამერიკული ხედვა, სამხედრო სტრატეგიით როგორ აპირებენ ამ სამი მონსტრის – ჩინეთის, რუსეთისა და ირანის შეკავებას. თუმცა, მეოთხე მტერიც არის, ჩრდილოეთ კორეა

– ამ სამი მონსტრის ინტერესები ემთხვე**-**

– ჩინეთის, რუსეთისა და ირანის ინტერესები მთლიანად დაემთხვა სირიასთან დაკავშირებით. ამ ქვეყნების გავლენა უდიდესია, მით უმეტეს, ირანელებისა. რეალურად, რუსებს სირიაში ოთხი ბაზა აქვთ.

– აქამდე ხომ იყო ცნობილი, რომ რუსებს სირიაში სამი ბაზა ჰქონდათ?

– ექსკლუზიურად თქვენი გაზეთისთვის ვიტყვი, რომ რუსებს ასევე დამასკოსთან აქვთ განსაკუთრებული საიდუმლო ბაზა, რომელიც საბჭოთა კავშირის დროიდან ერგოთ. ეს არის რადიო-ელექტრონული დაზვერვის ცენტრი, თუმცა, ბაზის სტატუსი აქვს. ეს ბაზა 1967 წლიდან აქვს. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც რუსეთი ჩაერთო კონფლიქტში, ბაზა და მასთან დაკავშირებული ინტერესებია.

งชิดูกู้ธังตุ, ศุพูบักูตบี บุ๊กศึกงชึก คุดชก จึงชิง გააჩნია. ირანელების ჩართულობაც საკმაოდ მაღალია. ირანის ისლამური რესპუბლიკის 30ათასიანი "ისლამური დაცვის გუშაგთა კორპუსი" იბრძოდა სირიაში. ფაქტობრივად, ირანმა სირიაში შეძლო თავისი გეოსტრატეგიული საფუძვლის შექმნა. ბუნებრივია, ამერიკელები ცდილობენ დაუპირისპირონ თავიანთი განცალკევებით მოქმედი ის ოპოზიციური ძალები ალქაიდას მომხრე ორგანიზაციას. სირიაში უკვე დაიწყო ახალი ტიპის გადანაწილების პროცესი.



– ახალ დაპირისპირებას რა გამოძახილი შეიძლება ჰქონდეს საქართველოში? მით უმეტეს, რომ ჩვენი მოსაზღვრე თურქეთი ამ კონფლიქტში პირდაპირაა ჩართული? უკვე განახორციელა შეტევები.

– დიახ, თურქეთმა გარკვეული შეტევები განახორციელა. აფრინთან ბრძოლები იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი. რუსებმა დატოვეს აფრინის ტერიტორია. ეს არის ჩრდილო დასავლეთით მდებარე ქალაქი, ანუ თურქეთის ახლოს მდებარე ქალაქია. მოხდა თურქული შენაერთების ერთგვარი ჩაჩოჩება და მიაღნია თურქეთის บงชิตุรงค์ตั้งอี. งอีกผู้หาย ตาห์ปุกตก งวักค์กูชั้น งตุอีกปีნული ტერიტორია გაწმინდოს, გაუმართოს გენერალური ბრძოლა და ქურთები დაამარცხოს ახლა უკვე სირიის ტერიტორიაზე.

თურქეთის შეტევები ხორციელდება იმ ფონზე, როცა ამერიკელები მათ მიერ მხარდაჭერილ ძალებს აწვდიან ტანკსაწინააღმდეგო და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებს. ამან გამოიწვია თურქეთ-ამერიკის ურთიერთობის კატასტროფული გაუარესება.

– არის თუ არა მოსალოდნელი თვითონ თურქეთის ტერიტორიაზე სახმელეთო ბრძოლეპის წარმოეპა?

– სასწორზე თურქეთის ტერიტორიული მთლიანობაცაა დადებული. სირიელმა ქურთებმა თურქეთის ტერიტორია დაბომბეს. უკვე შეტაკებები მიმდინარეობს. თურქეთის ტერიტორიაც მოხვდა საბრძოლო არეალში. რუსებმა თურქებს დაუჭირეს მხარი. რუსეთის შენაერთების მიერ აფრინის მიდამოების დატოვება და გადაადგილება შატაკიაში ნიშნავს ბურთისა და მოედნის თურქეთის შეიარაღებული ძალებისთვის დატო-

– ამ შემთხვევაში ნატოს ორი წევრი ქვეყანა, თურქეთი და ამერიკა, უპირისპირდება ერთმანეთს**.**

– თქვენ ეს გიკვირთ? ნატოს წევრი ორი სახელმწიფო თურქეთი და საბერძნეთიც დაუპირისპირდა ერთმანეთს კვიპროსის გამო.

– კი არ მიკვირს, ამერიკა ამ რეგიონში

ახლა მარტო ჩანს და როგორ დაამარცხებს მოწინააღმდეგე-

– არ ვიცი, როგორ დაამარცხებს. რუსეთი და ირანი სტრატეგიული პარტნიორებია. ისინი სამხედრო ალიანსში არი-

– თურქეთი არ არის მათ ალიანსში, მაგრამ ხომ არ აღმოჩნდება მათ მხარეს?

– ფაქტობრივად, თურქეთიც მათ უჭერს მხარს. ამერიკისა და თურქეთის ურთიერთობა იმიტომ იძაბება, რომ თურქები ებრძვიან ქურთებს. ქურთების მხარეს კი გამოდიან ამერიკელები. გარკვეული გეოპოლიტიკური "სასიყვარულო სამკუთხედი შეიქმნა.

– ამერიკის გავლენა სირიაში როგორია? – ამერიკის გავლენა სირიაში მცირეა. მას

არ გააჩნია პლაცდარმი, საიდანაც შეიძლება გააფართოვოს მისი სამხედრო ყოფნა ამ ტერიტორიაზე. სირიაში ამერიკის სამხედრო კონტინგენტი არ აღემატება 500 ადამიანს. თურქეთის სამხედრო ძალებიც ამოვარდება. ამ სიტუაციაში ამერიკელებს მოუწევთ, ხმელთაშუა ზღვაში მყოფი მათი სამხედრო-საზღვაო ფლოტის ავიამზიდებიდან და ერაყიდანაც განახორციელონ გადაფრენები.

ამერიკელებს შეექმნათ მყიფე მდგომარე-ობა სირიის ჩრდილოეთით. იქ არის ირანი და **๛**ฑูต์สู่ฏู่อด. บริชิธต์กู้อา บิดตัดรชิด รดัดปริปรฐดิป ตัวสู่ดმი. იქვე არიან რუსები, ჰესბოლას შენაერთები და ირანის ისლამის გუშაგთა დაცვის შენაერთები. ფაქტობრივად, აშერიკელები ერთგვარ ალყაში არიან მოქცეულები.

ამერიკელების მხარეზეა მხოლოდ სირიის თავისუფლების არმია, სირიელი ქურთების შენაერთები, მათ შორის, სირიელი კომუნისტები, რომლებისადმი ნდობა ცალკე საუბრის თემაა, หรงอุรริ กบกอีก ธรอี สูร สิทธิรุ ผู้พอีกบ สิธริ พฤป รหารอี, ธรอี – მოსკოვის. ფაქტობრივად, ამერიკა რჩება რეგიონში საუდის არაბეთის, იორდანიისა და ისრაელის დამხმარედ. თუმცა, ისრაელი არ ერევა შეიარაღებულ კონფლიქტში.

– ხომ არ შეიძლება მოახდინონ თურქეთის შიგნით ქურთების აჯანყება და ამერიკული პოლიტიკის მხარდაჭერა? თუ სირიაში ქურთები თურქეთის შიგნით მცხოვრები ქურთები მშვიდად გაჩერდებიან? მოექცევიან სამი დიდი სახელმწიფოს ალყაში,

– ქურთები ისედაც იბრძვიან იარაღით ხელში. აქ უკვე რეგიონზეა საუბარი. ქურთული შენაერთები, რომლებიც სირიაშია თავმოყრილი, ფაქტობრივად, თურქეთის დარტყმის ქვეშაა. ქურთების წინააღმდეგ გამოდის ასადის რეჟიმი. მათ ებრძვიან ირანელებიც. მათ წინააღმდეგ გამოდიან ალ ქაიდას სამხედრო წრეებიც. სირიაში ისლამური სახელმწიფოს შენაერთებიც გააქტიურდნენ და ამ საომარ მოქმედებებში სოლიდური წვლილი შეაქვთ. ისლამური სახალიფოს გააქტიურება და ხელახალი რეგენირება გამორიცხული არ

– როგორ?

– ისლამური სახალიფო ჯერ კიდევ არ არის განადგურებული, ძალას იკრებს, შეიძლება მეორე თავიც ამოუვიდეს და გააქტიურდეს. ამი-ტომ დღეს რეგიონში ძალიან საშიში სიტუაცია იქმნება. თან ჩვენს ტერიტორიას ძალიან უახლოვდება.

– ჩვენგან 500 კილომეტრში ახალი კონფლიქტის აღმოცენება საქართველოზე რა გავ-ლენას იქონიებს?

– აქამდე სირიის სიღრმეში, ჩვენგან 800-900 კილომეტრში იყო კონფლიქტი. ახლა კონფლიქტმა ჩვენი საზღვრებიდან 500 კილომეტრში გადმოინაცვლა. თურქეთ-სირიის საზღვარზე წარმოშობილი კონფლიქტი კავკასიაში ძალთა ბალანსს შეცვლის. მით უმეტეს, თუ ამერიკელები და თურქები სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდებიან. სამწუხაროდ, ამის ნიშნები უკვე არსებობს. ამერიკელები ქურთების არმიას უკვე ღიად აწვდიან იარაღს. ჩვენ და უკრაინამ ლამის ყელი გამოვიღადრეთ, ამერიკიდან იარაღი რომ მიგვეღო. ამერიკელებმა ჩვენ იარაღი მოგვყიდეს, უკრაინას კი უფასოდ აძლევენ.

– 2008 წლის ომის შემდეგ, ამერიკელ იარაღის მწარმოებლებს საქართველოსთვის იარაღის მიყიდვა აკრძალული ჰქონდათ.

– დიახ, ჩვენ დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა ამერიკელიდან იარაღის შესასყიდად, მაშინ, როცა უკრაინელებს ყოველგვარი გამოსყიდვის გარეშე აძლევენ იარაღს.

– ანუ ამერიკა დაინტერესებულია, რომ უკრაინელებმა რუსეთის წინააღმდეგ იბრძო-

– არ ვიცი, მე ფაქტები მომყავს, მკითხველ-მა გამოიტანოს დასკვნა. ახლა ვართ ახალი ცივი ომის პირობებში. თურქეთ-სირიის საზღვარზე აღმოცენებული ახალი კონფლიქტი ახალ ფაზაში გადადის.

– რუსეთი, ალბათ, თავისი ოთხი ბაზით ჩაერთვება კონფლიქტში.

– რუსებს აწყობთ თურქებსა და ქურთებს შორის კონფლიქტის გაღვივება. ისინი არ ჩაერევიან ამ კონფლიქტში ქურთების წინააღმდეგ. ამიტომ შეიძლება კონფლიქტი ლოკალური ომის ფაზაში გადავიდეს.

– ირანიც არ ჩაერევა?

– შეიძლება ირანი ჩაერიოს, რადგან ქურთების პრობლემაზეა საუბარი. ამ შემთხვევაში თურქეთისა და ირანის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. თუმცა, რუსებმა და თურქებმაც მოლაპარაკებები გამართეს, რუსები გამოვიდნენ კონფლიქტის არეალიდან და თურქებს დაუტოვეს მთელი კარტ-ბლანში.


ლოკალური ომი გარდაუვალია. შეიძლება საინტერესო კომბინაცია გათამაშდეს, თურქეთი და ირანი დაუპირისპირდნენ ამერიკელებს და ქურთებს. ამერიკელები სირიელ ქურთებს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, მათ შორის, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვითი სისტემებით და იარაღით ამარაგებენ.

ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ: "ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲔᲜᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ ᲣᲪᲮᲝᲔᲚᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲒᲔᲑᲘ ᲩᲐᲔᲠᲗᲕᲔᲑᲘᲐᲜ

თბილისის მიწათსარგებლობის გეგმის შეფასების პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციები და ექსპერტები ჩაერთვებიან. ამის შესახებ დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ დღეს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

– თბილისის მიწათსარგებლობის გეგმა მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქისთვის, რომელმაც თბილისის სწორი და გრძელვადიანი განვითარება უნდა უზრუნველყოს.

მოგეხსენებათ, კომპანია "სითი ინსტიტუტმა" 45-დღიანი ვადა ითხოვა, რაზეც მერიამ თანხმობა განაცხადა. ჩვენ ვაცნობიერებთ საზოგადოების მაღალ ინტერესს აღნიშნული დოკუმენტის მიმართ და გაცნობებთ, რომ თბილისის მერიამ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებსა და ადგილობრივ ექსპერტებს მიმარ-თა, რათა მოხდეს მათი მაქსიმალური ჩართულობა "სითი ინტიტუ-ტის" მიერ შემოთავაზებული დოკუმენტაციის შეფასების პროცესში, – აღნიშნა კალაძემ.



მისივე თქმით, რამდენიმე მნიშვნელოვანმა საერთაშორისო ორგანიზაციამ, მათ შორის EBRD-მა უკვე გამოთქვა მზადყოფნა, რომ პროცესში ჩაერთოს.

– აქტიური კონსულტაციების შედეგად მოხდა შეთანხმება მერიასა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს შორის. შესაბამისად, მსოფლიო ბანკმა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD), აზიის განვითარების ბანკმა და მსოფლიო კომპანია "ბიურო ჰაპოლდმა" გამოთქვეს მზადყოფნა, რომ მათ მიერ შერჩეული ექსპერტები ჩართონ გენერალური გეგმის საბოლოო ვარიანტის შეფასების პროცესში, – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, დედაქალაქის მერია ადგილობრივ ექსპერტებსაც დაუკავშირდა და მათი ჩართულობაც იქნება უზრუნველ-

– ასევე მნიშვნელოვანია სწორად შეფასდეს, თუ რამდენად იქნება გათვალისწინებული "სითი ინსტიტუტის" მიერ თბილისის მერიის მიმართ გამოთქმული შენიშვნები ტრანსპორტის, ურბანული განვითარების, არქიტექტურის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის, ეკოლოგიისა და ეკონომიკური სარგებლიანობის დოკუმენტში ასახვის კუთხით. მერია უზრუნველყოფს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციისა და ექსპერტის ინფორმირებულობას. მათ გენგეგმასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტაციას მივაწვდით, – აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

ამასთან, კახა კალაძის ინფორმაციით, აღნიშნული შემადგენლობით სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა მიმდინარე კვირაში გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ დეველოპერული სფეროს წარმომადგენ-ლები "კომერსანტთან" საუბრისას დედაქალაქის მერს კახა კალაძეს გენგეგმის დოკუმენტის შეფასების პროცესში უცხოელი ექსპერტების ჩართვას ურჩევდნენ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲛᲡᲮᲕᲘᲚᲔᲡᲘ **Մ**ՖԽՊՆՍԵԸՆՍ ᲑᲐᲖᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ

საქართველოს უმსხვილესი საექსპორტო ბაზრების ჩამონათვალი შეიცვალა.

ათეულში ახალი ქვეყნები გამოჩნდა აშშ, ირანი და რუმინეთი, სადაც ვაჭრობის მოცულობა გაზრდილია. ამ TOP -10 ქვეყანაზე მოდის ჯამური ექსპორტის უდიდესი წილი – 69%.



რეიტინგის ლიდერია რუსეთი, ჯამურ ექსპორტში მას 14.5% უჭირავს. წლიურად, ექსპორტის მოცულობა რუსეთში 188.3 მილიონით, 395 მილიონამდე არის გაზრდილი.

მეორე ადგილზე დაწინაურდა ასევე შეზობელი და სტრატეგიული პარტნიორი აზერბაიჯანი – 272 მილიონიანი მაჩვენებლით, სამეულშია თურქეთი, 216.5 მლნ დოლარით.

სომხეთში ბოლო 12 თვეში 208.7 მლნ დოლარის ექსპორტი განხორციელდა, თითქმის ამდენივე, 207 მლნ-ზე მეტი ჩინეთში, რომელიც საქართველოსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული ბაზარია და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების ამოქმედების შემდეგ იქ "წარმოებულია საქართველოში" ლოგოთი პროდუქცი-

შემდეგ პოზიციებს იკავებენ: ბულგარეთი, უკრაინა, აშშ, ირანი და რუმინეთი. აღსანიშნავია, რომ აშშ-ში ექსპორტის 1.7ჯერ არის გაზრდილი, ირანში – 1,6-ჯერ, ხოლო რუმინეთში – 2-

ის ასორტიმენტის გაფართოებას ელიან.



მიხეილ რამიშვილი: "პროკურატურა ცდილობს, სასამართლო შეცდომაში შეიყვანოს"

(3)

შორენა მარსაგიშვილი

მთავარმა პროკურატურამ ციანიდის საქმეში მორიგი სიახლის შესახებ გვამცნო. თებერ-ვალში მამა გიორგი მამალაძის დაკავებიდან ერთი წელი გადის და ამ დროის მანძილზე საგამოძიებო უწყებამ ვერ მიაკვლია პირს, რომლისგანაც დეკანოზმა ციანიდი შეიძინა.

დაცვის მხარის მტკიცებით, მამა გიორგის ციანიდი არ შეუძენია და ამიტომაც არ არსებობს ბუნება ში ასეთი პირი. ციანიდის საქმის პროკუ-რორის ჯარჯი წიკლაურის მტკიცებით, გამოკ-ვეთილია კონკრეტული პირი, რომელთანაც დეკანოზი გიორგი მამალაძე გერმანიაში წასვლის წინ აწარმოებდა მოლაპარაკებას რაღაცის შესაძინათ

წიკლაურის განცხადებითვე, აღნიშნული პირი მამალაძის გერმანიაში გამგზავრებამდე დმანისში იმყოფებოდა.

— გამოძიების შედეგად გამოკვეთილი არის კონკრეტული პირი, რომელთანაც გიორგი მამალაძე სწორედ გერმანიაში გამგზავრების წინ აწარმოებდა აქტიურად მოლაპარაკებას — 2.500 აშშ დოლარის სანაცვლოდ რაღაცის შესაძენად, რასაც საუბარში არ აკონკრეტებს.

ამ პირმა იცრუა დაკითხვისას და განაცხადა, რომ მამალაძე თანხას თითქოს ბანკის სესხის დასაფარად აძლევდა. ამასთანავე, დავადგინეთ, რომ ეს პირი მამალაძის გერმანიაში გამგზავრების წინა დღეებში იმყოფებოდა დმანისში, თუმცა ამასთან დაკავშირებითაც იცრუა, რომ დმანისში არასდროს იყო ნამყოფი. ეს გარემოება არ იქნებოდა საეჭვო, რომ არა ერთი დეტალი — დმანისი არის რეგიონი, სადაც საქმიანობს ერთადერთი კომპანია საქართველოში "არემჯი გოლდი", რომელიც საქმიანობაში იყენებს ნატრიუმის ცია-



პროკურატურა: "დეკანოზმა გერმანიაში გამგზავრებამდე ლაშა დვალიშვილს 2.500 დოლარი გაღასცა რაღაცის შესაძენაღ"

ნიდს, ვინაიდან ამ ეტაპზე გამსაღებლის ზუსტი იდენტიფიცირებისთვის დამატებითი მტკიცე-ბულებების მოპოვება არის საჭირო, საქმეზე ამ ეტაპზეც გრძელდება გამოძიება, — განაცხადა ჯარჯი წიკლაურმა "პრაიმ-თაიმთან" საუბარში.

პირი, რომელზეც ჯარჯი წიკლაური საუბრობს, ლაშა დვალიშვილია. მისი მეუღლე მამა გიორგის ნათესავია.

მედიასთან საუბარში დვალიშვილი ამბობს, რომ საგამოძიებო უწყებამ ამ საკითხზე არაერთხელ დაკითხა.

ჯარჯი წიკლაურის მიერ ნახსენებ თანხასთან დაკავშირებით ამბობს, რომ მას და დეკანოზს ერთმანეთისთვის ფული არაერთხელ უსესხიბიაო

პროკურორისგან განსხვავებით, ის დმანისში წასვლაში კრიმინალს ვერ ხედავს.

— მე საქართველოს მოქალაქე ვარ და ხან ქუთაისში ვიქნები, ხან თბილისში და ხან დმანისში, — განუცხადა ჟურნალისტებს ლაშა დვალიშ-

დეკანოზის ადვოკატი მიხეილ რამი შვილი "ახალ თაობასთან" საუბარში ამბობს, რომ საგამოძიებო უწყება მიზანმიმართულად ცდილობს სასამართლოს და საზოგადოების შეცდომაში შეყვანას. ადვოკატი არ გამორიცხავს, რომ პროკურატურამ დვალი შვილზე ზეწოლა განახორციელოს.

მიხეილ რამიშვილი:

— მე შემიძლია პირდაპირ ვთქვა, რომ ჯარჯი ნიკლაურის ეს განცხადება საზოგადოე-ბის შეცდომაში შეყვანას ისახავს მიზნად. რაღაც სისულელეს იგონებენ და მას ისე ფუთავენ, თითქოს მართლა ჰქონდა დანაშაულს ადგილი.

ამ განცხადებას შევადარებდი გასული წლის მარტში პროკურატურის მიერ ჩანაწერების გა-საჯაროებას. კონტექსტიდან ამოგლეჯილი ჩანაწერები საგამოძიებო უწყებამ სინოდის სხდომის წინა დღეს გამოაქვეყნა.

მაშინ პროკურატურა ამ ჩანაწერებით სინოდის წევრებზე ზეგავლენის მოხდენას შეეცადა. ანალოგიური ხდება ახლა — სააპელაციო სასამართლო დასასრულს უახლოვდება, 31 იანვარს ჩვენ, დაცვის მხარემ, უნდა ვთქვათ დასკვნითი სიტყვა. პროკურატურას ამ არარსებული სიახლით საზოგადოების შეცდომაში შეყვანა და მოსამართლის ჩაფიქრება სურს, რათა მან სამართლიანი განაჩენი არ გამოიტანოს.

– ლაშა დვალიშვილზე რისი თქმა შეგიძლიათ?

- ის და დეკანოზი არიან ნათესავები. ეს პროკურატურამაც მშვენივრად იცის. საგამოძიებო უწყებაში ისიც კარგად იციან, რომ დეკანოზს მის-თვის ციანიდის შესაძენად ფული

დვალიშვილმა წინასწარი გა**-**



მოძიების დროს და სასამართლოზეც ყველა კითხვას დეტალური პასუხი გასცა. წიკლაურის ბოლო განცხადების შემდეგ მან მედიის კითხვებსაც უპასუხა. თანხასთან დაკავშირებით ალალად თქვა, რომ იმ დროს უჭირდა და მამა გიორგი ფულით დაეხმარა. ახლა პროკურატურას ისეთი სურათის დახატვა უნდა, თითქოს ეს თანხა მას მამაომ ციანიდის შესაძენად გადასცა.

მთელი ერთი წელი რას აკეთებდნენ? ყველამ ვიცით, რომ მამა გიორგიზე ხორციელდებოდა თვალთვალი. ლამის ერთი წელი გავიდა და სხვა სიახლე ვერ დაადგინეს? სირცხვილია. დვალიშვილი მართლა ციანიდის შემძენი და მომტანი რომ ყოფილიყო, ამდენი ხანი იქნებოდა ამაზე რეაგირება. როგორც უკვე გითხარით, დეკანოზს სუსი უთვალთვალებდა.

ლაშა დვალიშვილი პროკურატურის მიერ არაერთხელ დაიკითხა პროკურატურის მიერ. სასამართლოზე იყო მცდელობა, მისთვის ისეთი კითხვები დაესვათ, რომლებიც ყველანაირ სამართლებრივ ჩარჩოებს სცილდება.

– คร კითხვები กษูคิ ริษัฏตก?

 ისე უსვამდნენ კითხვებს, რომ პასუხი მათთვის სასურველი ყოფილიყო. ამაზე დვალიშვილს სათანადო რეაგირება ჰქონდა. შეიძლება რაღაც გაწყობდეს, მაგრამ ის რეალობას არ უნდა იყოს აცდენილი.

 სინოდის ბოლო სხდომაზე გადაწყვიტეს, რომ ციანიდის საქმის შესასწავლად სპეციალური კომისია შეიქმნას. თქვენი ინფორმაციით, შეიქმნა ასეთი კომისია?

— ვერაფერს ვერ გეტყვით ამაზე. ჩვენც ის ვიცით, რომ საპატრიარქოში სპეციალური კომისიის შექმნა გადაწყდა, რომელიც ამ საქმეს შეისწავლიდა. შექმნეს თუ არა კომისია, არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ სინოდს მხოლოდ ერთი მხარისთვის აქვს მოსმენილი. სინოდის წევრები მხოლოდ პროკურატურის წარმომადგენლებს უს-

მენდნენ. ჩვენდა სამწუხაროდ, არ მოხდა დაცვის მხარის მოსმენა.

— რატომ არ მოისურვეს თქვენი მოსმენა?
— ვერ გეტყვით, ეტყობა, ამით გარკვეული პირები იყვნენ დაინტერესებული. როცა რაღაცის გაანალიზებას და მასზე რეაგირების მოხდენას აპირებს, ორივე მხარეს უნდა მოუსმინო. მარტო ბრალდების მხარის მოსმენას თუ აპირებ, მაშინ რაღას ქმნი კომისიას. ბრალდება ისედაც ამბობს, რომ დანაშაული დადასტურებულია.

– მამა გიორგისთან დაკავშირებით თუ არის რაიმე სიახლე? არაერთი განცხადება მო-ვისმინეთ, რომ მას გარკვეული პრობლემები ექმნება. ამბობენ, დაწესებულების ტერიტორიაზე მდებარე ეკლესიაში შესვლის ნებასაც არ აძლე-ვინო.

— მამაოს ბევრ რამეში ეშლება ხელი. მის მიმართ არ არის ისეთი დამოკიდებულება, როგორიც ყველა პატიმრის მიმართ უნდა იყოს. ეტყობა, ვიღაცები ცდილობდნენ, რომ მომხდარიყო მისი სულიერი გატეხვა, რომ დეკანოზს მათთვის სასურველი ჩვენება მიეცა.

— დაკავების დღიდან დეკანოზი ზიარებას ითხოვს, საპატრიარქოს წარმომადგენლებმა არა-ერთხელ თქვეს, რომ მამაოს აზიარებდნენ. ამ მიმართულებით რა ხდება?

— დაპირება დაპირებად რჩება. მამაო არ უზიარებიათ და არც აღსარების ჩაბარების უფლებას აძლევენ. ესეც ძალიან უცნაურია. უცნაური კი არა, აღმაშფოთებელია, როცა სასულიერო პირები ასე ექცევიან სხვა სასულიერო პირს.

– სინოდს პირადად თქვენც მიმართეთ და მეუფე იაკობთან დაკავშირებით საეკლესიო სასამართლოს ჩატარება მოითხოვეთ. ამ მიმართულებით თუ არის რაიმე სიახლე?

— არანაირი სიახლე არ არის. ვიდრე საეკლესიო სასამართლოს მოვითხოვდი, თავად მეუფესთანაც ვცადე შეხვედრა. როცა ის ტელევიზიით გამოვიდა და ჩემ მიმართ ცილისმწამებლური განცხადება გააკეთა, მე მას მოკლე ტექსტური შეტყობინება მივწერე და შეხვედრა ვთხოვე.

ამის გარდა, დავუკავშირდი სხვა სასულიერო პირებს და მათ ვთხოვე, დამხმარებოდნენ ეპისკოპოსთან შეხვედრაში. მეუფე იაკობმა თავი მოიკლა და არ შემხვდა.

ახლა ეგრე არაა, ადამიანზე ასე თქვა რამე. შეიძლება მაღალი სტატუსი გქონდეს, მაგრამ ეს არ გაძლევს იმის უფლებას, რომ ზომიერების საზღვრებს გადახვიდე.

მე ჩემი პატივი და ღირსება მაქვს, რომლის შელახვასაც არავის ვაპატიებ. ამიტომ მივმართე საეკლესიო სასამართლოს. სინოდის წევრები, სჯულის კანონით, ვალდებული არიან, ეს საქმე განიხილონ და გადაწყვეტილება მიიღონ. ამ მოთხოვნას ვერავინ გაექცევა. მეუფე იაკობს მოუწევს თავისი ნათქვამის დამტკიცება ან უარყოფა. ის ვინმემ თუ შეცდომაში შეიყვანა, ეს ჩემი პრობლემა არაა.

ᲥᲐᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲖᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲔᲑᲘ, ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘᲠᲔᲑᲐᲓ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ, ᲕᲔᲠᲐᲡᲝᲓᲔᲡ, ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝ

ქარის და მზის ენერგიები პროგნოზირებად მომავალში, ვერასოდეს გახდება ძირითადი ენერგიის წყარო, — საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის (სემეკი) ელექტროენერგეტიკული დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, ზვიად გაჩეჩილაძე GBC-სთან განახლებადი ენერგიების პოტენციალს აფასებს.

ექსპერტი ალტერნატიული ენერგიის დიდ პოტენციალზე აღნიშნავს, თუმცა იმ სირთულეებზეც მიუთითებს, რაც მის ათვისებას და პროგნოზირებულობას აფერხებს:

– ქვეყანაში დიდია ქარის ენერგიის ათვისების პოტენციალი, მათ შორის გამოკვეთილია 9 შესწავლილი რეგიონი, სადაც ჯამში 4.000 მგვტ სიმძლავრის პოტენციალზეა საუბარი და რომელიც ამჟამინდელი სიმძლავრეების ტოლია.

თუმცა, ამავე დროს, მეორე საკითხია, რამდენად ათვისებადია ეს ენერგია ეკონომიკური თვალსაზრისით, რადგან გასათვალისწინებელია უამრავი ნიუანსი, მათ შორის, რომელი ლოკაცია შეირჩევა. ხშირად ლოკაცია აძვირებს პროექტს, იმიტომ, რომ რაც უფრო მაღლა მდებარერის, ხარჯიც მეტია, საჭიროა კომუნიკაცი-

ების მიყვანა, სპეცტექნიკა, გზის გაყვანა და ა.შ.
ეს ხარჯები დიდი არ იყო ქართლის ქარის სადგურისთვის,
რადგან ის პირდაპირ საავტომობილო გზასთან იყო. ასეთია კიდევ
რამდენიმე ლოკაციაც, მათ შორის კოლხეთის დაბლობი. შესაძლებელია ქართლის ქარის სადგურის გაფართოება, თუმცა აქაც
კიდევ ერთი ბარიერია, რამდენად შეუძლია ქსელს მიიღოს გამომუშავებული ენერგია, — ამბობს გაჩეჩილაძე.

დარგის სპეციალისტი მიუთითებს, რომ საქართველოს ტიპის ქვეყანამ, რომელსაც გააჩნია ჰიდრორესურსები, ჯერ სწო-რედ ამ რესურსის ათვისებაზე უნდა იზრუნოს, რადგან ქარის ენერგია ჩვენთვის "არაპროგნოზირებადი და არასტაბილურია, ჰიდროენერგიასთან შედარებით".

— ისეთ ქვეყნებში, მაგალითად, როგორიცაა დანია, დიდი ბრიტანეთი, პოლანდია, სადაც სტაბილურია ქარი და გაშლილია მინდვრები, შედარებით სტაბილურია ქარის სიმძლავრეების გან-ვითარება. საქართველოში კი რთულია მთის ქარის პროგნოზირე-

ბა, რადგან რელიეფიდან გამომდინარე, ქარი ზემოქმედებას განიცდის.

არასტაბილური ენერგიიდან გამომდინარე, ქსელს მისი მიღების და დაბალანსების პრობლემა ექმნება, ამ დროს შესაძლოა საჭირო გახდეს ჰიდროელექტროსადგურებში წყლის დაღვრა ან სხვა გადაწყვეტილებების მიღება, რაც საბოლოო ჯამში ხარჯებს ზრდის.

დაბალანსების პრობლემა არ იქნებოდა, მეზობელ ქვეყნებთან ამ ფორმით რომ ვთანამშრომლობდეთ, რაც დღეს ასე არაა. ტრანსსასაზღვრო ხაზებზე მეზობელი ქვეყნები ამაზე უარს გვეუბნებიან და სტაბილურ ენერგიას ითხოვენ.

ანუ გამოდის, რომ საბოლოო ჯამში ენერგია ქვეყნის შიგნით უნდა დაბალანსდეს, ეს იწვევს ხარჯების ზრდას და ხარჯების ზრდა თავისთავად არაპირდაპირ აისახება გადასახადების გადამხდელებზე. ამას კი განვითარებული ქვეყნები უძლებენ, განვითარებადი ქვეყნები კი მაინცდამაინც ვერა, – ამბობს ბაზრის მარეგულირებელი.

გაჩეჩილაძე საკითხს ინვესტორის პოზიციიდანაც განიხილავს. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ, მაგალითად, მზის პანელები ყოველწლიურად იაფდება, ქარის და მზის ტექნოლოგიები ინვესტორისთვის დღეს კვლავ ძვირია, ამიტომ 1მგვტ-ზე ჩადებული ინვესტიცია პირდაპირ კონკურენციას ჰიდრორესურსს ვერ უწევს.

მით უმეტეს მაშინ, როდესაც, მაგალითად, მზის პანელი დასხივებული ენერგიის მხოლოდ 15%-ს იყენებს.

— ამიტომ ინვესტორისთვის საბაზრო ფასი საკმარისი არაა, მას სჭირდება მხარდაჭერის მექანიზმი, ანუ გარანტირებული შესყიდვის ფასის გადახდა, ე.წ ფიდ-ინ ტარიფი. მხარდაჭერის მექანიზმი თავის მხრივ სახელმწიფოსთვის ხარჯიანია — ეს კი ისევ და ისევ მომხმარებელს აწვება.

სწორედ დისბალანსის გამო,

დღეს 6 თვითაა შეჩერებული ტექნიკური პირობების გაცემა ქსელზე მიერთებისთვის საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის (სსე) მიერ. მათ დაიქირავეს ევროპული კომპანია, რომელიც გარკვეული სიმულაციების მეშვეობით სწავლობს საქართველოს ქსელს და დაახლოებით სექტემბრისთვის გასცემს რეკომენდაციას, თუ რა სიმძლავრის ათვისებაა ქვეყნისთვის რეკომენდირებული, იმისათვის, რომ ამან ქსელს არ შეუქმნას პრობლემა, — ამბობს გაჩეჩილაძე. კიდევ ერთი საკითხია, არის თუ არა მზად მოსახლეობა ამ

სიახლის დანერგვისა და ტარიფების მხარდაჭერისთვის.

— საშიშია ზედმეტი განვითარებაც და ზედმეტი მხარდაჭერაც, რადგან მხარდაჭერა ტარიფს ზრდის და ეს მოსახლეობას აწვება. ამის გამოცდილებაც არსებობს მსოფლიოში — მაგალითად, გადაჭარბებულ მხარდაჭერას ვერ გაუძლოჩეხეთმა, ესპანეთმა, მაგრამ გაუძლო, მაგალითად, შედარებით ძლიერმა სახელმწიფომ — გერმანიამ.

საქართველოში განახლებადი ენერგიების ამ წყაროების განვითარებას სჭირდება ათწლეულები, სჭირდება სპეციალური პოლიტიკის დანერგვა. ამასთან, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ქვეყანამ ის, რომ ამ წყაროების ათვისება ბევრად უფრო მომგებიანია იმ ქვეყნებისთვის, ვისაც ჰიდრორესურსი არ გააჩნია და მეზობლებთანაც ამ მიმართულებით მჭიდრო კავშირი აქვს.

საქართველოსთვის კი ქარის და მზის ენერგიები პროგნოზირებად მომავალში, ვერასოდეს გახდება ძირითადი ენერგიის წყარო იმის გამო, რომ გაგვაჩნია პიდრორესურსი. მიუხედავად იმისა, რომ შედარებით დიდი პიდროელექტროსადგურები მეტ ზიანს აყენებს გარემოს, ქარის და მზის ენერგიები, ვფიქრობ, მხოლოდ დამატებითი ენერგორესურსი იქნება ქვეყნისთვის და არა ძირითადი წყარო, — აღნიშნავს ზვიად გაჩეჩილაძე.





ᲪᲣᲙᲔᲠᲑᲔᲠᲒᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐ ᲘᲜᲒᲠᲔᲕᲐ

სოციალურ ქსელში ხელოვნური ტვინი გაგაკონტროლებთ

"ფეისბუქის" აქციების ფასი მას შემდეგ განაგრძობს ვარდნას, რაც მისმა დამფუძნებელმა მარკ ცუკერბერგმა სოციალური ქსელის ტოტალური ცვლილების შესახებ განცხადება გააკეთა.

ნიუ იორკის ბირჟაზე ფასების 4.5 %-იანი გაუფასურების შემდეგ ქსელის შემქმნელმა მხოლოდ ერთ დღეში 3.3 მილიარდი დოლარი დაკარგა. ბირჟის ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ ცუ-კერბერგი არ ითვალისწინებს ბიზნესინტერესებს და აქციების ფასი თანდათან კიდევ უფრო შემცირდება. უახლოეს მომავალში შეიძლება მისი შემოსავალი 23 მილიარდი აშშ დოლარით შემცირდეს.

რა შეიცვლება "ფეისბუქში?"

კომპანია ცვლის ალგორითმს, რომელიც არჩევს, რომელი სიახლე უნდა უჩვენოს მომხმარებელს. აქამდე "ფეისბუქი" ყურადღებას ამახვილებდა ბიზნესრეკლამებსა და საჯარო პუბლიკაციებზე. ამის შემდეგ კი პრიორიტეტი გახდება მომხმარებლის პირადი

ეს იმას ნიშნავს, რომ ძალიან მალე ფეისბუქსიახლეებში რეკლამებსა და მედიასიახლეებს მეგობრებისა და ოჯახის წევრების პოსტები ჩაენაცვლება.

. სიახლეებში თქვენ ნახავთ ნაკლებად საჯარო პოსტებს, როგორებიცაა ბიზნესის, კომპანიების რეკლამები ან მედიასიახლე ები. ამის ნაცვლად უფრო ხშირად გიჩვენებთ თქვენს ჯგუფებს, მეგობრებსა და ოჯახის წევრებს, – აცხადებს კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი ცუკერბერგი.

საინტერესოა, რომ ინვესტორი და მარკ ცუკერბერგის მენტორი როჯერ მანკეიმი 2016 წლიდან უბიძგებდა სოციალური ქსელის შემქმნელს ცვლილებებისკენ. ის მიიჩნევს, რომ კომპანიამ მოკლევადიან მოგებაზე ხელი უნდა აიღოს და გამოასწოროს მავნებლური შედეგები, რომლებსაც დამოკიდებულება და ცუდი აქტორების გავლენა იწვევს.

– აშშ-ის მთავრობა საკმარისად არ აკონტროლებს ტექნოლოგიურ სექტორს, ამიტომ მთავარი როლი ჩვენ, ინვესტორებმა უნდა ვითამაშოთ, – ამბობს როჯერ მანკეიმი.

რამდენიმე თვის წინ მარკ ცუკერბერგმა "ფეისბუქის" მისიაზე ხმამაღლა საუბარი თავად დაიწყო.

- ჩვენ ხელს ვერ შევუშლით ქსელის ბოროტად გამოყენების ყველა მცდელობას, მაგრამ ბევრ შეცდომას ვუშვებთ, რაც ხელს უწყობს ამ პროცესს. თუ წარმატებით ვიმუშავებთ, 2018 წლის ბოლოს სრულიად ახალ ტრაექტორიაზე აღმოვჩნდებით, – განაცხადა მაშინ ცუკერბერგმა.

რატომ ცვლის სოციალური ქსელი მიმართულებას?

მარკ ცუკერბერგის თქმით, კომპანიამ არაერთი სოციალური კვლევა ჩაატარა და დაასკვნა, რომ სოციალურ ქსელს ადამიანებისთვის სარგებელი მოაქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მას ქსელს ახლობელ ადამიანებთან ურთიერთობებისთვის იყენებენ.

2018 წლისთვის ჩვენ აქცენტს გავაკეთებთ მიმართულებებ ზე, რომლებიც უზრუნველყოფს, რომ "ფეისბუქზე" გატარებული დრო ღირებული იყოს. ჩვენ იგი შევქმენით იმისთვის, რომ ხალხს დახმარებოდა კომუნიკაციაში, ახლოს ვყოფილიყავით ხალხთან.

ბოლო დროს კი ჩვენ მივიღეთ შენი შვნები იმაზე, თუ როგორ ჩაენაცვლა ბიზნესის, კომპანიებისა და მედიის პოსტები პირად ურთიერთობებს. პასუხისმგებლები ვართ, რომ ჩვენი მომსახურება არა მარტო გასართობი საშუალება იყოს, არამედ სასარგებლოც. ამ ცვლილებებით ველით, რომ ადამიანები სოციალურ ქსელ-



ში ნაკლებ დროს გაატარებენ და ეს დრო იქნება ღირებული, დაწერა ცუკერბერგმა.

ტვინების რეცხვა

ყოველდღიურად დაახლოებით 1.37 მილიარდი ადამიანი შედის "ფეისბუქზე" და ნელ-ნელა ეს რიცხვი უფრო იზრდება. ვიზიტის საშუალო ხანგრძლივობა დაახლოებით ნახევარი საათია. ეს უზარმაზარი პლატფორმა კი მთლიანად სიახლეების ირგვლივ

ამერიკული უნივერსიტეტების მიერ ჩატარებულმა სოციალურმა კვლევებმა დაადასტურა, რომ "ფეისბუქი" გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე. "ლაიქის" გამოყენება, ადგილმდებარეობის დაფიქსირება ან რაიმეს გაზიარება მიუთითებს ადამიანის სურვილზე, რომ რეკლამებით შემოთავაზებული პროდუქცია შეიძინოს და მას "ფეისბუქი" ბევრ რეკლამას სთავაზობს, ანუ თუ "შეგამჩნევთ", რომ კარგ განწყობაზე ხართ, რეკლამების ზღვაში "გაბანავებთ".

მიიჩნევა, რომ პოსტებზე უმოციის დაფიქსირების ფუნქციის დამატება სწორედ მომხმარებლის ქცევის კონტროლს ისახავდა

პოლიტიკური სკანდალები

აღსანიშნავია სოციალური ქსელის პროპაგანდის საშუალებად გამოყენების მრავალი შემთხვევაც. მაგალითად, 2016 წლის აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების დროს "ფეისბუქს" ადანაშაულებდნენ, რომ მილიონობით ადამიანი შეცდომაში შეჰყავდა და არასწორ ინფორმაციას ავრცელებდა.

აშშ-ის კვლევების ცენტრის მონაცემთა მიხედვით, არჩევნების წინა პერიოდში რესპონდენტთა 20%-მა შეიცვალა აზრი სოციალური მედიის გავლენით.

კომპანია მუდმივად კრიტიკის ქარცეცხლშია იმის გამო, რომ სიახლეებში უპირატესობას ანიჭებს სენსაციურ, არაობიექტურ ამბებს, რომლებმაც არაერთხელ მოახდინეს გავლენა სხვადასხვა

სახელმწიფოთა პოლიტიკურ პროცესებზე. ახლახან "ფეისბუქი" კიდევ ერთ პოლიტიკურ სკანდალში აღმოჩნდა და ის კიდევ ერთხელ დაადანაშაულეს დეზინფორმაციის გავრცელებაში. ფილიპინებში, სადაც სოციალურ მედიას მსოფლი-ოში ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მომხმარებელი ჰყავს, სოციალური ქსელის რამდენიმე მედიაპარტნიორს ლიცენზია შეუჩერეს ბრალდებით, რომ ისინი ქვეყნის პრეზიდენტ როდრიგო დუტერტეს მხარდასაქერად არასწორ ინფორმაციას აწვდიდნენ საზოგადოე-

– ეს მოვლენა კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ "ფეისბუქი" პოლიტიკური შეხედულებების მთავარი წარმმართველი ძალაა. "ფეისბუქი" ვერ უარყოფს, რომ მთავარი როლი შეასრულა ფილიპინებში არადემოკრატიული რეჟიმის ჩამოყალიბებაში, – ამბობს, ადამიანის უფლებების დამცველი და საერთაშორისო ორგანიზაციების დამოუკიდებელი მრჩეველი კარლი ნაისტი.

საყოველთაო უკმაყოფილების საპასუხოდ "ფეისბუქმა" განაცხადა, რომ ქსელის მიზანია, ყველა ადამიანს მისცეს უფლება, პოლიტიკური აზრი თავად დააფიქსიროს. მათი განცხადებით, კომპანია ნერგავს ახალ ტექნოლოგიებს, რომ ყალბი ექაუნთების გახსნა, სიძულვილის გამოხატულება და ჩაგვრის შემთხვევები

– ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ადამიანებისთვის თავისუფალი გამოხატვის საშუალების მიცემა ინვევს შეურაცხყოფის, ტყუილებისა და დეზინფორმაციის გავრცელებას. ჩვენ აღვკვეთავთ ყალბი ექაუნთების შექმნას და განვავითარებთ ავტომატურ სისტემას, რომელიც არასათანადო ინფორმაციის იდენტიფიცირებისათვის ხელოვნურ ინტელექტს გამოიყენებს, – განაცხადეს კომპანიის წარმომადგენლებმა.

კომპანია ასევე შეძლებს, გააკონტროლოს ინფორმაციათა ლეგიტიმური წყაროები. არსებობს ეჭვი, რომ ეს ცვლილება მთლიანად გაანადგურებს დღევანდელი მედიის სისტემას, მაგალითად, საინფორმაციო საიტებს.

ქსელის გაკეთილშობილება თუ ეშმაკური ჩანაფიქრი

მარკ ცუკერბერგს რომ ქსელის გაკეთილშობილება სურს, ამის ბევრს არ სჯერა. ფაქტია, რომ ის უკვე კარგავს მილიარდებს და ეს პროცესი კიდევ გაგრძელდება. მაგალითად, გვატემალაში ჩაატარეს კვლევა, რომლის ფარგლებშიც სიახლეებში მაქსიმალურად შეამცირეს მედიასიახლეები. შედეგად ქსელის მომხმარებელთა აქტიურობა განახევრდა.

რაში უნდა აწყობდეს ეს ცუკერბერგს? ზოგიერთი ექსპერ-ტის აზრით, შეიძლება "ფეისბუქის" დამაარსებლის პრინციპების მიღმა კომპანიის ახალი გეგმები იმალება. ამგვარი მასშტაბის პლაფტორმაზე მომხმარებლები ხშირად თავად არიან რეკლამის განმცხადებლები. თუკი "ფეისბუქი" ეცდება, შინაარსობრივი მხარე გააკონტროლოს, მომხმარებლებს აღარ ექნებათ საშუალება, ფასის გადახდის გარეშე გაუკეთონ რაიმეს რეკლამა.

სოციალური ქსელის რეპუტაციის გაზრდა და რეკლამების შემცირება გამოიწვევს ბრძოლას "ფეისბუქში" ადგილის მოსაპოვებლად, რაც ახალ ფასებს დააწესებს.

ამ ეჭვების მიუხედავად, არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ცუკერბერგი შემოსავლის დიდ ნაწილს ქველმოქმედებაში ხარჯავს. ასე რომ, კაცმა არ იცის, რა ხდება მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერის ტვინში. შეიძლება მას მართლაც სურს, ქსელის და, შესაბამისად, საზოგადოების გაკეთილშობილება, თუნდაც მილიარდების დაკარგვის ფასად.

თამარ ტყემალაძე

ვაჭრო ბრუნვამ სა**-**

"ᲘᲠᲐᲜᲘᲦᲐᲜ ᲒᲐᲖᲠᲦᲘᲚᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ. **ᲡᲐᲔᲥᲡᲞᲝᲠ**ᲒᲝ ᲪᲮᲕᲠᲘᲡ ᲤᲐᲡᲛᲐ ᲛᲝᲘᲛᲐᲒᲐ"

ქართულ ცხვარს რეალიზაციის და ექსპორტზე გატანის პრობლემა აღარ აქვს. სექტორის წარმომადგენლები არანაკლებ სირთულეს რუსეთიდან შემოსულ ცხვარში ხედავენ, რომელიც საქართველოში იკვლება და ირანში ქართული ხორცის სახელით გადის.

როგორც "კომერსანტს" "მეცხვარეთა ასოციაციის თავმჯდომარემ ბექა გონაშვილმა განუცხადა, საქართველოდან გასული ცხვრის ქართული და რუსული ხორცი უნდა გაიმიჯნოს, რადგან ექსპორტიორი ქვეყანა შეცდომაში არ იქნეს შეყვანილი.

მისი თქმით, აღნიშნულის შესახებ შესაძლოა გარკვეული რეგულაციები დაწესდეს.

– პრობლემა არის ის, რომ რუსეთიდან ცხვარი შემოდის, საქართველოში იკვლება და ირანში ექსპორტზე გადის. ირანიდან ნებართვის დოკუმენტი რომ მოდის, მასში წერია, რომ ცხვარი, რომელიც მათ ქვეყანაში შევა, საქართველოში დაბადებული უნდა იყოს. რუსულ ცხვარს რომ წარმოშობის გრაფაში ქართული უწერია, გამოდის, რომ ამით ირანს ვატყუებთ. ამიტომაც სამომავლოდ ეს საკითხი დასარეგულირებელია. სოფლის მეურნეობის სამინისტრო უკვე მხარს გვიჭერს. უახლოეს დღეებში აღნიშნულ საკითხზე შეხვედრებსაც გავმართავთ და ველოდებით, რომ მა-



ლევე შესაბამისი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, – აცხადებს გონაშვილი.

მისი თქმით, რუსეთიდან ცხვრის შემოყვანა, მისი აქ დაკვლა და ექსპორტზე გატანა პრობლემას არ წარმოადგენს, მით უმეტეს, იმ პერიოდში, როცა ქართული

ცხვრის დეფიციტი გვაქვს. – მთავარია, რომ დოკუმენტში ჩაიწეროს, ცხვრის წარმოშობის რეალური ადგილი და არა ის ადგილი, სადაც დაიკლა. საქართველოში რაღაც პერიოდში ცხვრის სულადობა გვყავს, რაღაც პერიოდში – არა. იმ პერიოდში, როდესაც რესურსი ამოიწურება, შემოიყვანონ რუსეთიდან და กษา გაიტანონ და თან წარმოშობაში რუსეთი ჩაუწერონ. ეგ პრობლემა არ არის, მთავარია ვეტერინალური წესების დაცვა მოხდეს და შემოსულ ცხვარს დაავადებები არ შემოჰყვეს, – აცხადებს ბექა გონაშვილი.

მისივე თქმით, ამ ეტაპზე ქვეყანაში ცხვრის ხორცის დეფიციტია:

– ცხვრის ხორცის რეალიზაციის პრობლემა მოხსნილია. ჩვენი მთავარი ექსპორტიორი ქვეყანა ირანია. უბრალოდ, ახლა ისეთი პერიოდია, რომ ფიზიკურად ცხვარი არ გვყავს. დეფიციტია და პრობლემა მხოლოდ ეს არის. ახლა დოლი გვაქვს და ივნისიდან გასაყიდი სულადობა გვეყოლება, იქამდე – არა, აღნიშნავს გონაშვილი.

რაც შეეხება ცხვრის ხორცის ფასს, ბექა გონაშვილის ინფორმაციით, ადგილობრივ ბაზრებზე 1 კილოგრამი ცხვრის ხორცის ფასი 16,50 ლარია, ცოცხალი ცხვრის ფასი კი 230-250 ლარი:

– საექსპორტო ფასების თქმა რთულია. ყველა ქვეყანას თავისი მოთხოვნა აქვს. ზოგადად ფასები მომატებულია, რასაც ირანიდან გაზრდილ მოთხოვნებს ვუკავშირებთ. ფასების მომატება ცხვრის ხორცის დეფიციტის ბრალი არ არის. ფასებმა მანამდე მოიმატა, სანამ დეფიციტი შეიქმნებოდა, – აცხადებს გონაშვილი.

შეგახსენებთ, რომ დაახლოებით ორი წლის წინ 1 კილოგრამი ცხვრის ხორცის ფასი დაახლოებით 8 ლარი იყო

ამასთან, სოფლის მეურნეობის სამინისტროში განმარტავენ, რომ არაბული ქვეყნებიდან დაინტერესება იზრდება და განპირობებულია საქართველოს, როგორც ეპიზოოტიურად კეთილსაიმედო ქვეყნის იმიჯით.

2017 ᲬᲔᲚᲡ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲛᲡᲮᲕᲘᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ ᲞᲐᲠᲒᲜᲘᲝᲠᲘ ᲘᲧᲝ

გასულ წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 10,707 მილიარდი ამერიკული

დოლარი შეადგინა. ამასთან, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ათი უმსხვილესი საკოო პარგნიორ ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 66.7 პროცენტი შეადგინა.

საქსტატის ცნობით, 2017 წელს საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა თურქეთი იყო, რომლის სა-



1,589 მილიარდი დოლარი შეადგინა; მას მოსდევს რუსეთი 1,184 მილიარდი აშშ დოლარით, მესამე ადგილზე კი ჩინეთია, რომლის სავაჭრო ბრუნვამ საქართველოს-

თან გასულ წელს 939.5 მილიონი ამერიკული დოლარი შეადგინა. მე-4 და მე-5 პოზი(ებს კი აზერბაიჯანი და უკრაინა იკავებენ.

საქართველოს 10 უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის ჩამონათვალში მოხვდა ასევე: სომხეთი, გერმანია, აშშ, ბულგარეთი და იტალია.

ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲒᲝᲛ ᲡᲐᲐᲕᲒᲝᲛᲝᲒᲘᲚᲝ ᲡᲐᲬᲕᲐᲕᲘᲡ ᲑᲐᲖᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ



კონკურენციის სააგენტომ საავტომობილო საწვავის ბაზრის ხელახალი მოკვლევა დაიწყო. ამის შესახებ განცხადებას კონკურენციის სააგენტო ავრცელებს.

– საავტომობილო საწვავის ბაზარზე, მოქმედი კომპანიების სარჩე-

ლების საფუძველზე, საქართველოს სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების უზრუნველსაყოფად, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების ხელახალი გამოკვლევისა და შეფასების მიზნით, კონკურენციის სააგენტომ საქმის მოკვლევა დაიწყო, – ნათქვამია სააგენტოს განცხადებაში.

1939@4.96W 3W&0BO



ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲨᲘ. ᲡᲐᲠᲬᲧᲐᲕ ᲐᲠᲮᲨᲘ ᲐᲗᲔᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲮᲝᲪᲘᲚᲘ ᲪᲮᲕᲐᲠᲘ ᲘᲞᲝᲕᲔᲡ



რუსთავში, ერთ-ერთ ფერმაში 150მდე ცხვარი დაიხოცა, რომელიც ფერმის თა-ნამშრომლებმა სარწყავ არხში ჩაყარეს. სარწყავ არხი, მდინარე მტკვარს უერ-

ადგილზე იმყოფებოდნენ სურსათის უვნებლობის სააგენტოს წარმომადგენლები, რომლებიც ამოწმებენ, არის თუ არა ეპიდემიის გავრცელების საშიშროება.

მათივე ინფორმაციით, დახოცილი ცხვრის ტერიტორიიდან ტრანსპორტირებას ფერმერი უზრუნველყოფს.

ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲘ 3**ᲐᲐᲒᲐ 3Ა**ᲕᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲘ ᲨᲡᲡ-Ს **ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲪᲘᲐᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ**



ნუცუბიძის ქუჩაზე გარდაცვლილი პაატა პავლიაშვილის ოჯახი დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენე-หึ่งლั้วห์ กรี่เงิ้วีปู่ผูกงิ่น อีกอิงห์ดงสูน. หีพგორც ოჯახის ადვოკატმა ლევან ვეფხვაძემ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ოჯახი მოით-ხოვს, გენერალურმა ინსპექციამ და-ადგინოს, თუ რამდენად კანონიერად მოხდა პოლიციის თანამშრომლების მხრიდან პაატა პავლიაშვილის დაკავება, რატომ არ არის სრულად გადაღებული დაკავებისა და გარდაცვალების ეპიზოდი და რამდენად ჯეროვნად და კანონიერად იმოქმედა პოლიციამ შექმნილ სიტუაციაში.

– დღეს ჩვენ მივმართავთ შსს-ს

გენერალურ ინსპექციას. გენინსპექციაზე პროკურატურის მიერ საქმის შენყვეტის გადაწყვეტილებამ არ უნდა მოახდინოს გავლენა, რადგან ორი სხვა-დასხვა სტრუქტურაა. ჩვენ ვითხოვთ მოხდეს საპატრულო პოლიციის თა-ნამშრომლების მოქმედების კანონიერების შესწავლა. პირველ რიგში გენერალურმა ინსპექციამ უნდა დაადგინოს, თუ რამდენად კანონიერი იყო დაკავება, რატომ არ მოხდა ვიდეო გადაღება უმნიშვნელოვანესი ეპიზოდებისთვის და რამდენად ჯეროვნად იმოქმედეს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, – განაცხადა ვეფხვა-

მისივე თქმით, გენერალურ ინსპექციას ოჯახი დღესვე მიმართავს.

შემთხვევა ნუცუბიძის ფერდობ-ზე გასული წლის 25 ოქტომბერს, საღამოს საათებში მოხდა. ადმინისტრაციული წესით დაკავების დროს, პაატა პავლიაშვილი შეუძლოდ გახდა და ადგანდა და ად-გილზე გარდაიცვალა. რამდენიმე დღის წინ კი, საძართვილ-ს კი, საქართველოს პროკურატურამ პაატა პავლიაშვილის გარდაცვალების ფაქტზე წარმოებული გამოძიება შეწყვიტა.



ყაჩაღური თავდასხმა მოხდა გურიაში, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ქვიანში, გვიან ღამით 45 წლის ქალბატონი სასტიკად აწამეს. დანებით შეიარაღებული სამი პირი თავს დაესხა სახლში მარტო მყოფ ქალბატონს.

ბოროტმოქმედები მას რამდენიმე საათის განმავლობაში სასტიკად უსწორდებოდნენ, ბოლოს წებოვანი ლენტით დააბეს და წავიდნენ. ქალბატონი თანასოფლელებმა მხოლოდ მეორე დღეს ნახეს. დაზარალებული აცხადებს, რომ ინფორმაციის გასაჯაროების შემთხვევაში, თავდამსხმელები მას სახლის გა-

დაწვით დაემუქრნენ.

"ᲡᲐᲦᲐᲮᲚᲝᲡᲐ" ᲓᲐ "ᲬᲘᲗᲔᲚ ᲮᲘᲦᲖᲔ" ᲐᲠᲐᲓᲔᲙᲚᲐᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲒᲐᲠᲔᲒᲘ ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔᲡ



საბაჟო გამშვებ პუნქტში "წითელი ხიდი", ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრების მიერ, 1260 ღერი არადეკლარირებული სიგარეტის ქვეყანაში უკანონოდ შემოტანის ფაქტი აღიკვე-

ფორმაციით, საქართველოს საგადა- ოდენობით შეეფარდა.

სახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, მოქალაქეს ჩამოერთვა საქონელი და ფულადი ჯა-რიმა ათასი ლარის ოდენობით შეე-

არადეკლარირებული სიგარეტის უკანონოდ შემოტანის კიდევ ერ-თი ფაქტი დაფიქსირდა 21 იანვარს, საბაჟო გამშვებ პუნქტში "სადახლო-საავტოობილო". სომხეთის მოქალაქეს ი.მ-ს კუთვნილი ავტომანქანის სა-შუალებით, 10800 ღერი არადეკლარირებული სიგარეტი საზღვარზე უკანონოდ შემოჰქონდა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-14 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეს ჩამოერთვა საქონელი, სატრანსპორტო საშუალება შემოსავლების სამსახურის ინ- და ფულადი ჯარიმა ათასი ლარის

"ᲜᲘᲗᲔᲚ ᲮᲘᲓᲖᲔ" ᲐᲠᲐᲓᲔᲙᲚᲐᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ **ᲝᲥᲠᲝᲡ ᲜᲐᲙᲔᲗᲝᲑᲔᲑᲘ ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔᲡ**



საბაჟო გამშვებ პუნქტში "წითელი ხიდი", ფინანსთა სამი-რის მებაჟე ოფიცრებმა აზერბაიჯანის მოქალაქის მ.ლ-ს კუთვნილი ხელჩანთის დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობები (წონა 49.1 გრამი) აღმოაჩინეს, – ამის შესახებ "ინტერპრესნიუსს" ფინანსთა სამინისტოს შემოსავლების სამსახურიდან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, საქონლის საბაჟო ღირებულებამ 6,880.66 ლარი შეადგინა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ მოქალაქეს სანქციის სახით 6,880.66 ლარის ოდენობით ფულადი ჯარიმა შეეფარდა.

ᲐᲮᲛᲔᲒᲐᲨᲘ 41 ᲬᲚᲘᲡ 97977780 242926



ახმეტაში 41 წლის მამაკაცს, მამუკა ძებნიაურს ეძებენ. ახალგაზრდა მამაკაცი ბოლოს 19 იანვარს სახლისკენ მიმავალ გზაზე შენიშნეს. ძებნიაურს ორი დღის განმავლობაში პოლი-ცია ეძებდა, ძებნის სამუშაოებში სამაშველო ჯგუფები ჩაერთნენ.

სამძებრო სამუშაოები დღეს ისევ განახლდა. საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში აცხადებენ, რომ მამაკაცს სარწყავ არხში, ადგილობრივთან ერთად, თბილისიდან ჩასული მყვინთავებიც ეძებენ.

ᲐᲤᲔᲗᲥᲔᲑᲐ ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲝ ᲒᲕᲘᲠᲐᲑᲨᲘ ᲓᲐᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ 3 ᲛᲣᲨᲐ



ხარაგაულის რაიონის სოფელ ბეჟათუბანში, სარკინიგზო გვირაბის მშენებლობაზე აფეთქება მოხდა.

გავრცელებული ინფორმაციით მძიმედაა დაშავებული სამი მუშა. "ნიუპოსტი" დეტალებს არკვევს.

ᲡᲝᲮᲣᲛᲨᲘ ᲛᲝᲠᲒᲘ **ᲒᲐᲫᲐᲠ**ᲪᲕᲔᲡ



როგორც აფხაზური მედია იტყობინება, შემთხვევა წუხელ მოხდა. თავდამსხმელებმა კარი გატეხეს, მორგში შეაღწიეს და სეიფიც გატეხეს.

აფხაზური მედიის ცნობითვე, ექსპერტიზის ეროვნული ბიურო კო-อิกู่โดงค์ งห์ งมูกตั้งไป. งดุมกับชิก საგამოძიებო ჯგუფია მობილიზებუ-

ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲣᲑᲐᲜᲨᲘ, ᲡᲐᲐᲙᲐᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘ ᲓᲐᲭᲠᲔᲡ

თბილისში, სვანეთის უბანში, პაატა სააკაძის ქუჩაზე ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს. შემთხვევა გუშინ, დღის ბოლოს მოხდა. არსებული ინფორმაციით, მამაკაცს მრავლობითი ჭრილობები ცივი იარაღით აქვს მიყენებუ-

PATROLPOLICELINE სასწრაფო დახმარების ბრიგადამ დაშავებული თბილისის პირველ საავადმყოფოში გადაიყვანა. ამ დროისათვის მამაკაცის ჯანმრთე-

ლობის მდგომარეობა სტაბილურია მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის

117-ე და 118-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც სხეულის განზრახ მძიმე და ნაკლებად მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

"ᲒᲧᲕᲘᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲗᲔᲛᲘᲠᲚᲐᲜ ᲛᲐᲩᲐᲚᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲘᲧᲝ. ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ"

ტყვიაზე, რომლითაც თემირლან მაჩალიკაშვილი უნდა გარდაცვლილიყო, სისხლის კვალი არ აღმოჩ-ნდა, — ამის შესახებ ჟურნალისტებს თბილისის პროკურატურის შენობის დატოვების შემდეგ, მაჩალიკაშვილების ოჯახის ადვოკატმა, მარიამ კუბლაშვილმა განუცხადა.

მისი ინფორმაციით, გამომძიებლებმა მას ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გადასცეს, რომლის გაცნობის შემდეგ საქმესთან დაკავშირებით ახალი კითხვები გაჩნდა. კუბლაშ-ვილი აღნიშნავს, რომ მნიშვნელოვანია მოხდეს მაჩალიკაშვილების დაზარალებულებად ცნობა, რაც მათ შე-საძლებლობას მისცემს, საქმის მასალებს გაეცნონ.

– რაც არ დადასტურდა და რაც ალბათ შემდგომი განხილვის მსჯელობის საგანი გახდება, არის ლითონის ფრაგმენტი. როგორც ექსპერტიზაშია მითითებული, იგივე ტყვიაზე, რომელიც კედელში გაჩერდა, ანუ გავიდა ლოგინის თავში, არ აღმოჩნდა სისხლის კვალი. რა თქმა უნდა, უნდა ვკითხო ექსპერტს და შემდგომ გავაკეთოთ დასკვნა, თუ როგორ შეიძლება ტყვიამ, რომელმაც გაიარა შუბლი, ფაქტობრივად მთლიანი სხეული, ლო-



გინი, ლოგინის თავი და კედელი, როგორ არ აღმოჩნდა მასზე სისხლი. პროცესში ჩართული არ ვარ მხარედ, დაზარალებულის სტატუსი არ გააჩნდა არც თემირლანს და არც მისი გარდაცვალების შემდგომ მამას, რასაც ჩვენ დაჟინებით ვითხოვთ, რაც მიშლის ხელს იმ კუთხით, რომ მე არ გამაჩნია საგამოძიებო მოქმედებებში ჩარევის უფ-ლება, — განაცხადა მარიამ კუბლაშვილმა.


მაჩალიკაშვილების ადვოკატი, საგამოძიებო ორგანოში **2** საათის განმავლობაში იმყოფებოდა.

ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲨᲘ ᲝᲠᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲓᲐᲘᲬᲕᲐ

"ნიუპოსტის" კორესპონდენ-ტის ცნობით, ოზურგეთში ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი დაიწვა.

თვითმხილველები ამბობენ, რომ იაკობ შემოქმედელის ქუჩაზე, ჯაყელების საცხოვრებელ სახლს ცეცხლი გამთენიისას გაუჩნდა.

მეზობლების თქმით, სახლში ოჯახის ნათესავი მამაკაცი ცხოვრობდა, რომლის გამოყვანაც ცეცხლმოდებული სახლიდან მათ მოახერხეს: "შევძელით რაღაც ნივთების





ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲛ ์ ตั้งวิก หวือพิกษัสหิพ - "อิวัสตัวชิววิตวิจิวิอัตว ᲥᲐᲚᲛᲐ ᲝᲯᲐᲮᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲓᲐᲣᲒᲝᲕᲐ'

საბერძნეთში საქართველოს მოქალაქე, 50 წლამდე ქალი ჩამომხრჩვალი იპოვეს. ამის შესახებ ქართველი ემიგრანტი, ჟურნალისტი ვახო კვარაცხელია

ებამდე მან ოჯახს წერ აუტოვ ლობაში საბერძნეთში, ერთ-ერთ ოჯახში მოსამსახურედ მუშაობდა, – აღნიშნავს ჟურნალისტი.

"ნიუპოსტი" მომხდარის გარკვევას საქართველოს საკონსულოში ცდი-



უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას ("იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები. მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ Ქ. №166. ᲛᲔ-10 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ. **გელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲒᲔᲝᲞᲝᲚᲘᲒᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲪᲔᲜᲐᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲓᲔᲑᲐ

მიმდინარე მოვლენები აისახება სირიელ ხალხთა კონგრესზე

🕦 მარიამ მჭედლიშვილი

საქახთველს სიახღოვეს ამ ღლეებში განვითახებული მოვღენები ქახთველმა ექსპეხტებმა უჯვე მიიჩნიეს სახიფათოდ საქახთველსათვის.

როგორც ცნობილია, შაბათს ქურთებით დასახლებულ სირიის ქალაქ აფრინში წამოიწყო სამხედ- რო ოპერაცია სახელწოდებით "ზე-თისხილის ტოტი". იგი მიმართულია პარტია "დემოკრატიული კავშირისა" და "თავდაცვის სახალხო ძალების" ნინააღმდეგ. ამას მოჰყვა სირიის საპასუხო იერიში თურქეთის ტერიტორიაზე და სხვა ბრძოლიბი.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის მხრიდან სირიაში ქურ-თების საწინააღმდეგო მოსალოდ-ნელ მოქმედებებზე რამდენიმე თვეა, საუბრობენ, მიმდინარე მოვლენებმა მაინც თავდაყირა დააყენა არსე-ბული რეალობა.

ამ რეალობით, ნატოს წევრი თურქეთი შედის ანტიტერორისტულ კოალიციაში, რომელსაც ვაშინგტონი ხელმძღვანელობს. გარდა ამისა, ანკარა სირიის საკითხში მოსკოვისა და თეირანის მოკავშირეა.

29-30 იანვარს სოჭში ამ სა-



მეულის ინიციატივით დაგეგმილია სირიელ ხალხთა კონგრესის, იგივე სირიის ეროვნული დიალოგის კონგრესის გამართვა.

აღმოსავლელი ექსპერტების აზრით, მიმდინარე მოვლენები პოზიტიურად ან ნეგატიურად აისახება ამ შეკრებაზე.

მომხდარის გამო გადაწყდა კონსულტაციების გამართვა გაეროს უში შროების საბჭოში. ამ განხილვას ანკარის პროტესტი მოჰყვა. საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩავუშოღლუმ განაცხადა, რომ ამ ოპერაციის განსახილველად გამოტანას თურქეთი აღიქვამს ტერორისტების მხარდაჭერად.

თავის მხრივ, ტერორისტების მხარდაჭერაში თურქეთს ადანაშაულებს სირია.

– თურქეთის აგრესია ქალაქ

აფრინში ვერ იქნება გამიჯნული იმ პოლიტიკისაგან, რომელსაც თურქეთის რეჟიმი ატარებს სირიის კრიზისის დადგომიდან. ეს პოლიტიკა აგებულია ტერორისტული დაჯგუფებებისადმი მხარდაჭერაზე, — აცხადებს სირიის რეჟიმის მეთაური ბაშარ ასადი.

თურქეთმა თავისი ოპერაციის შესახებ წინასწარ აცნობა აშშ-სა და რუსეთს. ამას ადასტურებს აშშ-ის თავდაცვის მინისტრი ჯეიმს მატისი:

— თურქეთმა გააფრთხილა აშშ იმაზე, რომ გეგმავს ავიათავ- დასხმებს სირიის ჩრდილოეთში აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი "სი-რიის დემოკრატიული ძალების" წინააღმდეგ.

პენტაგონის ხელმძღვანელის

თქმით, ამერიკელები მუშაობენ შემდგომ მოქმედებებზე.

თურქული ოპერაციის საბაბად სახელდება საზღვრის დაცვა.
აშშ-ს სურდა, თურქეთ-სირიის საზღვარზე განეთავსებინა ახალი შეიარაღებული 30.000-კაციანი დაჯგუფება. მასში უნდა შესულიყვნენ
ქურთთა რაზმები, რომლებსაც ანკარა ტერორისტებად მიიჩნევს.

ვაშინგტონმა ამ გეგმაზე უარი თქვა, თუმცა, ანკარას ოპერაცია არ გადაუფიქრებია.

თურქი ექსპერტების ინფორმაციით, აფრინი თურქეთისთვის ეკონომიკურად მნიშვნელოვანია. იგი მონაწილეობს იმ პროექტში, რომელმაც ერაყის ნავთობი და გაზი ხმელთაშუა ზღვის რეგიონში ანკარის გვერდის ავლით უნდა გაიტანოს. ამიტომ, თურქეთი აქტიურობს.

ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს მოვლენები დიდ ომში არ გადაიზრდება, თურქეთი ვერ შევა ღია კონფრონტაციაში აშშ-სთან. სხვა ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ ვაშინგტონმა უკვე მოახერხა თურქეთის ჩათრევა შეიარაღებულ კონფლიქტში. მომავალში მოსალოდნელია დიდი ძვრები და უფრო ფართო გეოპოლიტიკური სცენარების გათამაშიბა

თურქეთის ოპერაციას მოჰყვა იდლიბის პროვინციაში სირიის სამთავრობო არმიის აქტიურობა. სამთავრობო ძალები ტერორისტულ ორგანიზაცია "ჯებხატან-ნუსრას" უტევენ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲚᲔᲑᲔᲑᲘ

ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲗ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲡ

 გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

<u>୍ରି ଝଁଧିଶେନ୍ତ୍ରପ୍ରଅ୍ଥିମଧ୍ୟ, ୧୯ଅନ୍ତେଅମଧ୍ୟ</u>

● ფსორიაზის მკურნალობა მაღალი შედეგით — მალამოებით, ლიმფის გაწმენდითა და ნერვული სისტემის მოწესრიგებით. ფრჩხილის სოკო და კანის სოკო ეგზემა, სტრეპტოდერმია და სხვა — ბუნებრივი საშუალებებით, უკუჩვენების გარეშე.597 98-95-99; 599 45-88-66. ნინო ექიმი.

რნკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანიბის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66.

• კუძ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

 სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთე-

ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მონესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ექვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუქ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
 სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკორი სათაბლის ორთსას, მკურნალობა გავნარი.

სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკირებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამადანი შნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი გარავია

ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა
სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის
სტრუქტურის ალდგენა, სითხის დაბალანსება
სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის ალდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-5478; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზ-

•კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%იანია. მის: აღმაშენებლის 154, "მწვანე ოფისი". ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუქ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, "მწვანე ოფისი". ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

• მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირე-• ული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, "მწვანე ოფისი". ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა ბაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, "მწვანე ოფისი". ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

ᲛᲐᲘᲙ ᲞᲔᲜᲡᲘ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲨᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ



აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსი ისრაელში ჩავიდა. ის შეხვდა ისრაელის პრემიერ ნეთანიაჰუს.

– აშშ-სთან კავშირს ისრაელისათვის ალტერნატივა არა აქვს, – განაცხადა ნეთანიაჰუმ.

მან იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარებისთვის მაიკ პენსს მადლობა გადაუხადა.

მისი თქმით, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები არასოდეს ყოფილა ისეთი მჭიდრო, როგორც ახლა არის.

 ჩვენ ორივეს შეგვიძლია წარმოვთქვათ ეს სამი სიტყვა:
 იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქია, – განუცხადა ნეთანიაჰუმ მაიკ პენსს.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს ისტორიული განცხადებისთვის, რომლითაც აშშ-მ იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად აღიარა.

თქვენთან ერთად განვიხილავ იმ სამუშაოს გაგრძელებას,
 რომლითაც ჩვენ უფრო მტკიცეს გავხდით ჩვენს შესანიშნავ კავშირს,
 დასძინა მან.

სამაგიეროდ, პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელი აბასი ძალზე აგრესიულად შეხვდა პენსის ისრაელში ჩასვლა. მან განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც აშშ-მ იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად აღიარა, ამერიკას ისრაელ-პალესტინის კონფლიქტში შუამავლობის უფლება აღარ აქვს.

– ამერიკელებთან აღარ ვილაპარაკებთ, – განაცხადა აბასმა.

ᲙᲐᲠᲚᲔᲡ ᲞᲣᲩᲦᲔᲛᲝᲜᲘ ᲙᲐᲒᲐᲚᲝᲜᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡ Პ**ᲝᲡᲒᲖᲔᲐ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ**

პროკურატურა მის დაპატიმრებას მოითხოვს

კატალონიის ავტონომიის ყოფილი ხელმძღვანელი კარლეს პუჩდემონი კატალონიის მთავრობის ხელმძღვანელის პოსტზეა წარდგენილი.

ამის შესახებ კატალონიის ახლად არჩეული პარლამენტის სპიკერმა როჟე ტორენმა განაცხადა.

— მე კარლეს პუჩდემონის კანდიდა-

ტურას მთავრობის ხელმძღვანელის პოსტზე წარვადგენ. მესმის პუჩდემონის პირადი და იურიდიული სიტუაციის ნიუანსები, მაგრამ ასევე მივიჩნევ, რომ მას კანონიერი უფლება აქვს, იყოს კანდიდატი, — განაცხადა როჟე ტორენმა გამართულ პრესკონფერენციაზე.

კატალონიის პარლამენტის სპიკერმა ასევე აღნიშნა, რომ უახლოეს პერიოდში მოლაპარაკებებს გამართავს ესპანეთის მთავრობის მეთაურთან მარიანო რახოისთან და თავად კარლეს პუჩდემონთან.

კატალონიის პარლამენტის პირველი სხდომა, რომელზეც კატალონიის მთავრობის ხელმძღვანელის კანდიდატურას განიხილავენ, 31 იანვარს გაიმართება. კანდიდატურის დამტკიცებისთვის საჭიროა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა.

ესპანეთის გენერალური პროკურატურა კი აცხადებს, რომ პუჩდემონის დაპატიმრების კიდევ ერთ ორდერს გამოწერს. პროკურატურა კატალონიელი სეპარატისტების ბელადს ბრალს სდებს უცხოეთის სპეცსამსახურებთან კავშირში და ბარსელონაში სისხლისღვრის პროვოცირების მცდელობაში.

– პუჩდემონმა პასუხი უნდა აგოს, – თვლის პროკურატურა.

მოამზადა ნიკა თეგზაძემ

ᲓᲝᲜᲐᲚᲓ ᲒᲠᲐᲛᲞᲡ ᲛᲔᲣᲦᲚᲘᲡ ᲦᲐᲚᲐᲒᲘ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲐ

ჟურნალისტი, ავტორი წიგნისა "ცეცხლი და სიბრაზე: დონალდ ტრამპის ადმინის-ტრაციაში", მაიკლ ვოლფი ამტკიცებს, რომ აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი თავის მეუღლე მალანიას ღალატობს. ასეთი განცხადება მწერალმა ერთ-ერთი ტელეარხის ეთერში გააკეთა.

გადაცემის მსვლელობისას წამყვანმა ვოლფს ჰკითხა, მის წიგნში არის თუ არა ისეთი ინფორმაცია, რომელიც ადრე უცნობი იყო ამერიკელებისთვის. ამ კითხვაზე მწერალმა დადებითად უპასუხა და დაამატა, თუმცა ვერ იტყვის, თუ კონკრეტულად რაზეა საუბარი.
— ამ წიგნში არის რაღაცები, რაშიც აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, მაგრამ ეს იმდენად პროვოკაციული იყო, რომ საბოლოო მტკიცებულებები არ მოინახა, — განაცხადა

როდესაც წამყვანმა დააზუსტა, რომ საუბარი ქალს შეეხება თუ არა, ამაზე ავტორმა დადებითად უპასუხა. მან ასევე განაცხადა, რომ სახელმწიფოს მეთაურს ახლაც აქვს რომანი სხვა ქალთან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა





ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘᲐ

თორნიკე შენგელია ესპანეთის უმაღლესი ლიგის მე-17 ტურის საუკეთესო მოთამაშედ ალიარეს. ბასკონიას ქართველმა ლეგიონერმა ეს ტიტული ბეტისთან გამოჩენილი შედეგიანობის გამო დაიმსახურა.



სევილიურ გუნდთან 94:70 მოგებულ მატჩში მისი სარგებლიანობის ინდექსი 34-ს გაუტოლდა, რასაც ვერავინ გადააჭარბა და ესპანეთის ლიგამ ტურის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა.

ეს გახლავთ შენგელიას ტურის საუ-კეთესოდ აღიარების მეორე შემთხვევა ამ სეზონში. შეგახსენებთ, რომ იგი ერთხელ ევროლიგაზეც გამოარჩიეს.

ესპანეთის ლიგის ვებგვერდზე თოკოს კომენტარიც გამოქვეყნდა:

– საუკეთესოდ დასახელებაც სასიამოვნოა, მაგრამ, პირველ რიგში, ბეტისთან გამარჯვება მახარებს. სწორედ ამ მოგებით მივაღნიეთ ესპანეთის სამეფო თასზე თამაშს. მადლობა ღმერთს, ამ წარმატებაში მეც შევიტანე წვლილი. დიდად დამეხმარნენ ჩემი თანაგუნდელები და მწვრთნელები. კარგი მომენტია, გუნდი აღმავლობის გზაზეა, მაგრამ თუ წარმატებული სეზონი გვინდა, კიდევ უკეთეს კონდიციებში უნდა შევხვდეთ ესპანეთის ჩემპიონატის პლეი ოფსა და სამეფო თასს. მჯერა, რომ შეგვიძლია ესპანეთის ჩემპიონატის ფინალში გასვლაც და ევროლიგის ფინალურ ოთხეულში თამაშიც.

, შენგელიამ ბეტისთან სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 22 წუთში 22 ქულა, 8 მოხსნა (3 შეტევაში), 2 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. თორნიკემ 10-დან 7 ორქულია-

1-4 თებერვალს ქუთაისი ქარ-

ნი, სამქულიანი და 6-დან 5 საჯარიმო ჩააგდო.

ორმაგად სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ ტურის საუკეთესო მოთამაშედ დასახელების კონკურენტად შენგელიას გიორგი შერმადინი ჰყავდა. გიორგისაც ზეშედეგიანი მატჩი ჰქონდა მე-17 ტურში. შერმადინმა გრან კანარიასთან 94:87 მოგებულ მატჩში 26 წუთში 23 ქულა, 5 მოხსნა (2 შეტევაში) და 1 ჩაჭრა მიითვალა. ქართველი ცენტრის მარგი ქმედების კოეფი-ციენტმა 26 ერთეული შეადგინა, თუმცა შენგელია გაცილებით შედეგიანი იყო.

მალაგურ კლუბში გადასვლის შემდეგ ქართველმა ცენტრმა ყველაზე შედეგიანი მატჩი ჩაატარა. ეს ესპანეთის ჩემპიონატის მე-17 ტურში, უშუალო კონკურენ-ტთან მატჩში მოხდა და რაც მთავარია, უნიკახელებმა გამარჯვება მოახერხეს.

შერმადინი სათადარიგო იყო, თუმცა მან მოედანზე საკუთარ საშუალო მაჩვენებელზე მეტი – 26 წუთი გაატარა, რის განმავლობაშიც 23 ქულა, 5 მოხსნა (2 შეტევაში) და 1 ჩაჭრა მიითვალა. გიორგიმ 9-დან 7 ორქულიანი და 9-ვე საჯარიმო ჩააგდო. როგორც გითხარით, ქართველი ლეგიონერის სარგებლიანობის კოეფიციენტი 26-ს გაუტოლდა და ის მატჩის უძვირფასეს მოთამაშედ აღიარეს.

მალაგელებს ბასკონიას მსგავსად 10 მოგების წილ 7 მარცხი აქვთ და ცხრილში

5-7 ადგილებს იყოფენ. მე-18 ტურის მატჩს უნიკახა სტუმრად აუტსაიდერ სან პაბლოსთან გამართავს, ხოლო ბასკონია ასევე სტუმრად ესტუდიანტესთან ჩაატარებს.

სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა მანუჩარ მარკოიშვილმაც. ქართველ უკანახაზელს ბევრად შედეგიანი მატჩებიც ჰქონია, თუმცა გასულ შეხვედრაში მისმა რეჯიო ემილიამ იტალიის სერია ა-ს ლიდერი აველინო დაამარცხა და ამაში მარკოიშვილის წვლილი სოლიდურია.

მანუჩარის გუნდმა ლიგის ლიდერს უმასპინძლა და დაძაბულ ბრძოლაში -89:86 აჯობა. ქართველი ლეგიონერი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში გამოჩ-ნდა და 31 წუთში 14 ქულა, 3 მოხსნა, 1 ჩაჭრა და 2 პასი მოაგროვა. მარკოიშვილმა 7-დან 4 ორქულიანი, 5-დან 1 სამქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო ჩააგდო.

რეჯიო ემილიამ 6 მოგება და 10 მარცხი მოაგროვა და მე-11 ადგილზე გადაინაცვლა, შემდეგი შეხვედრა კი სტუმ-რად, პეზაროსთან ელის.

ᲒᲘᲐ ᲒᲠᲘᲒᲐᲚᲐᲕᲐ: "ᲞᲐᲣᲖᲘᲡ ᲨᲔᲛᲦᲔᲒ **ᲒᲣᲜᲦᲨᲘ ᲖᲔᲦᲛᲔᲒᲘ ᲙᲘᲚᲝᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘᲗ ᲕᲑᲠᲣᲜᲦᲔᲑᲘ**"

საქართველოს ნაკრებისა და ტულის არსენალის ქართველი მცველი რუსულ მედიასთან ქართულ სამზარეულოსა და ამსტერდამის აიაქსში სინჯებზე საუბრობს.

გრიგალავას გუნდი ამჟამად თურქულ შეკრებაზე იმყოფება და საუბრის თემაც ამ ფაქტით დაინ-

რთულია პირველი ვარჯიშები შეკრებაზე?

- პირადად ჩემთვის კი, რად-

გან კარგად დავისვენე. — *თურქეთში ზედმეტი ნო*ნაც გამოიყოლეთ?

– დიახ, როგორც წესი, შვებულების შემდეგ ზედმეტი კილოგრამებით ვბრუნდები, მაგრამ ორგანიზმი უკვე მიეჩვია წონის დაკლებას. წონის დასაგდებად, ალბათ, ერთი კვირა დამჭირდება.

– თქვენმა მწვრთნელმა მიოდრაგ ბოჟოვიჩმა თქვა, რომ ზედ-მეტი 2 კილოგრამი ნორმალურია.

მე უფრო მეტი მაქვს.

- ანუ დაგაჯარიმებენ?- დიახ, ამას დამატებული, გვსჯიან – უფრო მეტ სირბილს

გვთხოვენ ვარჯიშებზე.
— თქვენს თანამემამულე ზაზა ჯანაშიას ყოველთვის ჰქონდა პრობლემები ზედმეტ წონასთან დაკავშირებით და იური სიომინი მას სირბილს აიძულებდა. ბოჟოვიჩი უფრო კეთილია?

– მე მგონი, ჯანაშიას ზედმეტი წონის გარეშე თამაში არ შეეძ-ლო და ეს ეხმარებოდა კიდეც, მე კი ხელს მიშლის. არა, ბოჟოვიჩს მკაცრი მოთხოვნები არ აქვს.

– თქვენი ზედმეტი წონის მთავარი მიზეზი ხინკალია?

– არა, მარტო ხინკალი რა-ტომ? ქართული სამზარეულო, საერთო ჯამში, მძიმე და კალორიულია. თუმცა შვებულება იმისთვისაა, რომ კარგად დაისვენო. ასე არაა? სეზონის მიმდინარეობისას კი თავს ვაკონტროლებ, ხოლო შვებულებაში შეიძლება მოდუნდე.

— შვებულება საქართველო-ში გაატარეთ?

– დიახ, ძირითადად საქართველოში.

– თქვენ აიაქსში შოთა არველაძის გზის გამეორების შანსი გქონ– დიახ, ამსტერდამულ კლუბ-ში ვიყავი სინჯებზე, თუმცა მერე რუსეთში დავბრუნდი. – *რატომ?*

 იყო გარკვეული ნიუანსი. მე უფრო არ შევეფერებოდი მათ, ვიდრე პირიქით. პირველ გუნდში მინდოდა დამკვიდრება და არა მეორეში. მაშინ 18 წლის ვიყავი.



– 18 წლის ასაკში ჩახვედით და ეგრევე პირველ გუნდში გინდოდათ თამაში?

– რა არის ამაში უცნაური**?** პოლანდიაში 20 წლის ასაკში უკვე ძირითად გუნდში თამაშობენ. 25-26 წლის ასაკში ბევრი უკვე ვეტერანად ითვლება. ამიტომ ვფიქრობ, ჯანსაღი ამბიციები მქონდა. როცა დავბრუნდი, უკვე 19 წლის ასაკში მოსკოვის ძირითადში ვთამაშობ-

– საფეხბურთო თვალსაზრისით რამ გაგაოცათ ჰოლანდიაში?

– სიმართლე გითხრათ, მაშინ არ მინერვიულია იმის გამო, რომ აიაქსში არ დავრჩი.

– პრემიერლიგაში, რომელ ქართველ ფეხბურთელებთან მეგობრობთ?

– კვირკველიასთან მაქვს ხშირი კონტაქტი, ჯიქიასთანაც ვკონტაქტობ.

– ნაადრევად მიულოცეთ კვირკველიას ჩემპიონოპა? არა, მაგრამ ვფიქრობ, დი-

დი შანსი აქვს, ოქროს მედალი აიღოს. 10 მატჩი და 8-ქულიანი ჰანდიკაპი კარგი შედეგია.

